



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N19 (9163)

10 ივლისი, 2015 წელი

ფასი 50 თეთრი

წუგზარ ჯამბურია:

ჩვენი მთავრობა ეხთბუდა
ემსახუება ქვეყანასა და ხაღბს



3



“9 თვის განძილზე სავარო
სამსახურმა გაეოიყუნა”

2



9

“ლაღის” წარმატებული
დაბიუტი



ჩვენ, გაელები, აე ქვეყნის
ეოქალაქეებო არა ვართ?!

ქათეგოიხიუდაე მოვიოთხოვო
სამაიოღიანობის აღღვენას!

5

ავც თანეაღრეიპეიბაეი, ავც ავრეიპეი
ლა ავც ავიპეი ავც ავრეიპეი
ან აეღუბაეი ავუპეი

8

ახვ
ეიოი
წაბი

6

საქათუეროს
ვახეშე



ვიღაც
მოგვიწმენს
ღას...

7



30 ხუთის წინ...

სიკვიღის გაღარეიანიღი დაღა-გვიღი დახეპრეებას იოხეოვს

“9 თვის მანძილზე საჯარო სამსახურმა გაიმყარა”

6064 ნაწილაკი

საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე ბევრი კონკურსანტი კომისიამ გაწვდილული დატოვა. ბუნებრივია, 48 კანონსაზე დადებითი შეფასებები მიიღოთ თითქმის 3-ჯერ მეტი კადრი სამუშაო ადგილით უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა. ნაწილი ამ ამბავს “გაგებით” შეხვდა, ნაწილი ბელი ჩაიწია, ხოლო ნაწილი კერძოდ, 11-მა დაწესებულმა კონკურსანტმა პროტესტი გამოთქვა და საპროტესტო კომისიის წერილობით მიმართა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტში რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა საპროტესტო კომისიის წევრებსა და უმუშევრად დატოვებულ კონკურსანტებს შორის. უმრავლესობას აინტერესებდა, ბევრს გეგმიდის, კობა ძიძიგურისა და შალვა არხუშანიანისაგან შეეტყო, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ რა პრინციპით შეარჩია კადრები.

საპროტესტო კომისიის მუშაობას “სამართლიანი არჩევნების” კორდინატორი ნინო შარაშენიძე ესწრებოდა.

11 კონკურსანტიდან კომისიის წინაშე იმ დღეს 7 კონკურსანტი გამოცხადდა. “სამტრედიის მაცნე” სხდომაზე გასულამდე რამდენიმე მათგანის პოზიცია მოისმინა.

ილია ქარჩიალაძე, კონკურსანტი: “ამ კონკურსმა ორჯერ გაოცებული დამტოვა. ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე ვმონაწილეობდი საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსში. ტესტირებაში მივიღე ერთ-ერთი მაღალი – 55 ქულა. პირველ ჯერზე არ დანიშნეს, მეორე კონკურსის დროს შემინარჩუნდა ტესტირების ქულა და ხელახლა გავედი გასაუბრებლად. ჩავთვალე, რომ კომისიის წევრებზე დადებითი შთაბეჭდილება მოვახდინე. მაქვს უმაღლესი განათლება, ასევე – სარჩევნო ოლქში მუშაობის გამოცდილება. განაცხადში მეწერა მოთხო-

ვნა ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში სპეციალისტის პოზიციაზე, რომელიც თვითმმართველობაში ერთ-ერთი დაბალი რეგალი და იქ შეიძლება, საშუალო განათლებით დაინიშნოს კადრი. სანდო წყაროებიდან შევიტყვე, რომ გასაუბრებაზე გასულ 117 კონკურსანტში ყველაზე კარგი შეფასება მქონდა. ყველაფრის მიუხედავად, უარი მეთქვა. არ ვიცი, რა გითხრათ. ამ ფაქტმა მარტო მე კი არა, თითქმის მთელი სამტრედია გააკვირვა”.

ნონა ნიკოლეიშვილს გომის თემში გამგებლის წარმომადგენლის აპარატში სპეციალისტად დანიშნაზე კომისიამ უარი უთხრა. 4 შვილის დედა თვლის, რომ სამტრედიაში, კერძოდ, გომის თემში გენდერული ბალანსი უხეშად ირღვევა: “ვარ უმაღლესი განათლებით, მრავალშვილიანი დედა. უფროსი შვილი წელს აბიტურიენტი, უმცროსი თერთმეტი წლის მყავს. თუ ტრანსპორტი არ მომართმევენ, ნამდვილად არ ვიქნებოდი ცუდი კადრი. მით უმეტეს, რომ სამი აყვანილი თანამშრომელთან სამივე კაცია. ხომ შეიძლება, სამიდან ერთი ქალი დანიშნულიყო. 4 შვილის დედაობით არ ვსაყვედურებ, თუმცა, ძალიან ცუდი მოსასმენი იყო, როცა კომისიის ერთადერთმა წევრმა ქალბატონმა, მანანა სირბილაძემ მითხრა: დანიშნაზე მრავალშვილიანობას არ ითვალისწინებენო. საპროტესტო კომისიის მიმართ, თუმცა იმედი არ მაქვს, რაიმე შეიცვალოს. და კიდევ – პირველ რიგში, ვაპროტესტებ იმას, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას ნაცვლად 5 წევრისა სამი წევრი წარმოადგენდა. ეს როგორ უნდა გაგივთ, იმ ორს – დავით ბახტაძეს და მერაბ თარგამაძეს არ სურდათ უსამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა, თუ მწარე სინამდვილეს გაეცნენ. 2015 წელი ქვეყანაში ქალ პოლიტიკოსთა წლად გამოაცხადეს და გეკითხებით, გომი საქართველოს ტერიტორია არ არის? როგორ უნდა მოვიტყუოთ, იქნებ, გვიჩირონ, სოფელში მამაკაცები დაასაქმონ და ქალები თურქეთში წაგალოთ სამუშაოდ”.

“სამტრედიის მაცნე” თამილა ახალაძე საპროტესტო კომისიის სხდომაზე გამოხატვის შემდეგ ჩაწერა. იგი ამჟამად უკმაყოფილო ჩანდა: “მითხრეს, ჩვენ საკონკურსო-საატესტაციო კომისი-

ის გადაწყვეტილებას ვერ ვცვლით. მაშინ რა საჭირო იყო საპროტესტო კომისიის შექმნა და ჩვენი ხელახალი გადამინება. თუ საჭირო გახდა, სასამართლოშიც ვივივლებ, რადგან არ მიმაჩნია სწორად გამოუცდელი კადრის დანიშნა იმ პოზიციაზე, რომელზეც მე მქონდა მოთხოვნა. ის საბუთები, რომლებზეც რამდენიმე ათეული წელია ვმუშაობ, დღემდე უპატრონოდ დაფარული”.

სასამართლოში წასვლა და იქ სამართლის მოძებნა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთავრისა მახარაძეს. იგი დარწმუნებულია, რომ კომისიამ პოლიტიკური ნიშნით დაიწუნა: “9 თვის მანძილზე საჯარო სამსახურმა გამომიყენა, უხელფასოდ მამუშავა. მპირდებოდნენ, შენ ოღონდ ბარიერი გადალაზე და აუცილებლად დაგასაქმებთო. 9 თვის განმავლობაში ქალაქის ტერიტორიულ ორგანოში, ძველებურად ვასრულებდი სამუშაოს. ჩემი უშუალო ხელმძღვანელი მაიმედებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემს ადგილზე სხვა აიყვანეს – ჩემზე არაფრით უკეთესი კადრი უფრო მეტიც – ტესტირებაში მას ჩემზე ნაკლები ქულა აქვს აღებული. ტრადიციულად ის არის, რომ გამგებელი ამბობს, კონკურსის ბედს კომისია წვევსო, კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია კი მეუბნება, ამ საკითხს მე ვერ ვწყვეტო. დღეს საპროტესტო კომისიაზე გამოაცხადეს, კომისიის გადაწყვეტილებების შეცვლის უფლება არ გვაქვსო. აბა, რატომ დაგვაწერიეს პროტესტი, რისთვის გამიახლეს ნერვიულობა, რატომ მიმაღებინეს მეორედ სტრესი, თუ არაფრის შეცვლის უფლება არ აქვთ. ან რა თამაშია, გამგებელი საკრებულოს თავმჯდომარეს აბრალებს, საკრებულოს თავმჯდომარე გამგებელს. ამას ხალხის ხელისუფლება ჰქვია? კომისია რომ ვერ დაეცაბუთებს, შენ რატომ დაეწუნეს და ის რატომ მოიწონეს, ეს კომისია კომპეტენტურია და საიმედო?”

საპროტესტო კომისიამ წერილით მიმართულ “კონკურსანტებთან ერთი დღის განმავლობაში იმუშავა. დასკვნა მეორე დღეს დადო. “სამტრედიის მაცნე” კომენტარისთვის საპროტესტო კომისიის თავმჯდომარეს, ბუჟან გეგეშიძეს მიმართა: “კადრები გასაუბრებისას მიღებული ქულების ჯამის მიხედვით შეიარ-



ნენ. უნდა გითხრათ, რომ საპროტესტო კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში იხელმძღვანელა. კერძოდ, იმ ციფრებით, რომლებიც გადმოგვცა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ. აქედან დასკვნა, არც ერთი განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა”.

სამტრედიის მაცნეში მისი ჩატარებულ საჯარო მოხელეთა კონკურსის შესახებ დასკვნას დადებს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პროცესებს აკვირდებოდა, მანამდე კი ნინო შარაშენიძემ შეპირად განაცხადა, რომ მას კომისიის მუშაობის მიმართ აქვს ცალკეული შენიშვნები. “ასე მაგალითად, კომისიამ გასაუბრებაზე 8 საუკეთესო კონკურსანტი გამოყო, რომელთაგან რამდენიმე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იქნა ბოლო ეტაპზე დაწუნებული. და კიდევ მთავარი – კონკურსში მონაწილეებმა შერჩეული პიროვნებების შესახებ ჯერ კიდევ მანამდე იცოდნენ, ვიდრე მათ ელექტრონული ფოსტით ოფიციალური შეტყობინებები მიუვიდოდათ. არის საუბარი, ზოგმა მოწონებულმა ბოლოს საკუთარი თავი დაწუნებულთა სიაში აღმოაჩინა. ეს კომისიის მუშაობის სერიოზულ ხარვეზზე მეტყველებს”.

ხიდევ 12 ქჩა

სამტრედიის კეთილმოწყობილ ქუჩათა რიცხვი მალე კიდევ 12-ით გაიზრდება. ამ სახლით დაიწყო საუბარი მუნიციპალიტეტის გამგებელმა წერეთლის ქუჩაზე, ე. წ. ბაბბის სართავის ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტბეტონის საფარის დაგების დათვალეობისას. აქ 135 მეტრზე 5 მეტრის განით დაიგება გზა, ასფალტის ფენის 5 სანტიმეტრიანი სისქით. სამუშაოს შპს “ლატექსი” აწარმოებს. ვალერი ფოცხვერია იმასაც აღნიშნავდა, რომ ამ კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები ხარისხის მაღალი მანქანებით გამოირჩევა, თუმცა, ხარისხზე ამ საკითხში უფრო კომპეტენტური პირები დადებენ საბოლოო დასკვნას: “როცა აქ დასრულდება, სამუშაოები სხვა უბნებში გადაინაცვლებს. ქალაქს რომ მოვრჩებით, რამდენიმე სოფელში დარჩენილ რამდენიმე გზასაც ადვადგენთ. უფურადღებოდ მოსახლეობის არც ერთი მოთხოვნა არ დარჩება.” მისი მოადგილე, დავით ბახტაძე კი მოსახლეობის მიერ შეტანილ განცხადებებზე ამავალიებს ყურადღებას და ხაზს უსვამს, რომ “რიგითობა აუცილებლობით არის გამოწვეული, ანუ, პირველ რიგში, ის გზები იგება, სადაც ძალიან ცუდი სიტუაციაა. დეფექტური აქტები ყველა შესასრულებელი სამუშაოსი უკვე ხელთ გვაქვს. გზის საფარის დაგება პერმანენტულად გაგრძელდება იმ უბნებში, სადაც საჭიროა”.

მუშაობას ვერც ზაფხულის სიცხიანი შუადღე აფერხებდა. მართალია, “ლატექსის” დირექტორი იმ დღეს იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ სამუშაოს დაიქმულ ვადაში ხარისხიანად შესრულებას ეს ხელს სულაც არ უშლის.

ილია ბახტაძე



“მისი ზეპირი საბოლოო ეროვნითი თავშესაფარი იქნება”

6064 ნაწილაკი

ლიზა კარავეიშვილმა ევლოია შიმკოს არსებობის შესახებ ჟურნალისტებზე ადრე შეიტყო. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ვიდრე უმწეო უკრაინელ ქალბატონზე “სამტრედიის მაცნეში” დაბეჭდილი საჯარო სტატიას წაიკითხავდა, დაწერილობით ინფორმაცია მას უკვე გააჩნდა: “ბახტაძის ქუჩაზე მცხოვრები 71 წლის ქალბატონი პირადღე მოვიანხულე. იქ მართლაც საშინელი მდგომარეობა დამხვდა. პირველ რიგში, ადამიანს არ გააჩნია საკუთარი ტერი, არა აქვს პენსია, და მის ირგვლივ შექმნილია სრული გაურკვევლობა. ადგილზე მისულმა შევიტყვე, რომ ყველა სახის დახმარებას მას ბახტაძის ქუჩის მოსახლეობა უწევდა. საჭიროდ ჩავთვალე პირველ რიგში იურიდიული მხარის მოწოდება. ამისთვის მიემართე სამოქალაქო რეესტრს, მუნიციპალიტეტის გამგებლის იურიდიული განყოფილება პროცესებში ჩაერთო. ვიდრე ევლოია შიმკოს პიროვნების იდენტიფიკაცია მოხდებოდა, მანამდე “სახლი თანადგომას” ხელმძღვანელობას დაუკავშირდით, ვიზივით, შესადლებლობის ფარგლებში სადლით უზრუნველყონ. ამას მივადწიეთ და რამდენიმე დღეა, უკვე სოციალურ მუშაკს ბახტაძის ქუჩაზე ევლოია შიმკოსთან სადლი მიაქვს. პირადღე მე დაინვალიდებული ქალბატონი ფავარჯნებ-



ში იქნება, რისთვისაც გარკვეული პროცედურების გავლა დაგვიწოდება”.

“სახლი თანადგომას” დირექტორმა ევლოია შიმკოს შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უმწეო ქალბატონი სადლით იმ დღესვე უზრუნველყო. თუმცა, მხვეინარ ბოხუას უსაბუთოდ და უპენსიოდ დატოვებული 71 წლის უკრაინელი ქალბატონის ირგვლივ შეკითხვები გაუჩნდა. თუმცა ამ უკანასკნელს გავლენა მინც არ მოუხდენია იმაზე, რომ ბახტაძის ქუჩელების ანაბარად დატოვებული მოხუცი სადლით მოსარგებლე სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოხვედრილიყთ:

“საინტერესოა, ქალბატონ ევლოიას რატომ არ უფიქრია, ასაკის მატებასთან არანაირი შემოსავალი არ ჰქონდა და ჰკარგავდა თვეში 150 ლარს მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში. შეგახსენებთ, რომ “სამტრედიის მაცნე” წინა ნომერში დაბეჭდილი სტატია სათაურით: “მალღობს ვკვებავთ და ქრისტინი ქალი როგორ მოკვლათ მამალით?” წერილმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. გამომხატურება ფაქტს ადგილობრივი ხელისუფლებისგანაც მოკვდა. უკრაინელი ქალბატონი სადლით უზრუნველყოფილია, თუმცა მისი ძველ პირობებში დატოვება შეუძლებელია. როგორც დაგვიპირდნენ, უახლოეს მომავალში ევლოია შიმკოს შესაფერის საცხოვრებელში გადაიყვანენ.

ნუგზარ ჯამბურია:

ჩვენი მთავრობა ეხიტირება ემსახურება ქვეყანასა და ხალხს

ლევან გაბაჩიაძე

გასული წლის 14 ივლისს საქართველოს მასშტაბით 2014 წლის 5 ივნისის მოწვევის მუნიციპალიტეტების საკრებულოების პირველი სხდომა გაიმართა. იმავე დღეს მანდატები გადაეცა მუნიციპალიტეტების არჩეულ გამგებლებს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მანდატი 31-მა დეპუტატმა მიიღო, აქედან 22 "ქართული ოცნების" წარმომადგენელია. 5 - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", 2 - "ურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის" და 1 - "თვითმმართველობა ხალხს".

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საკრებულოები მუშაობას შეუდგნენ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბატონ ნუგზარ ჯამბურიასთან საუბარი სწორედ ამ ვარსკვლავს ეძღვნება.

ბატონ ნუგზარ, წელი გავიდა, რაც საკრებულო მუშაობას შეუდგა და, შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე გახდით. რით იყო მნიშვნელოვანი განვლილი წელი? რისი გაკეთება შეეძლო? ერთი სიტყვით, გვესაუბრეთ ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ.

სწრაფად გავიდა ერთი წელი, რომელიც ბევრი რამით იყო მნიშვნელოვანი როგორც ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის, ასევე, რაიონის მცხოვრებთათვისაც.

შეხვედრები გვქონდა მოსახლეობასთან, ერთობლივად გამოგვეკეთათ ის პრიორიტეტები, რომლებიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამით უნდა განხორციელებულიყო.

მოხარული ვარ, რომ შესაძლებელი გახდა მდინარე ხევისწყლის დაზიანებული ნაპირის აღდგენა, რაც დიდი ხანია აწუხებდა სოფელ ტოლუბის მოსახლეობას.

აქტიურად ჩაატარა აღდგენითი სამუშაოები ქუტირის სათავე ნაგებობაზე. გაიწმინდა წყალსარეგულირებელი არხები, ქუჩებზე დაიგო ასფალტბეტონის საფარი...

მოგესხნებათ, საკრებულო საკანონმდებლო ორგანოა, ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში საკრებულოს

31 სხდომა ჩატარებული. მისასაღებელია, რომ გამგებმა და საკრებულო შეთანხმებულად მუშაობენ, რაც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტზე.

ჩატარდა საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო გამოცდები, რის საფუძველზეც მოხდა მოხელეთა დანიშვნა წარმოდგენილ ვაკანსიებზე.

ერთი წლის მანძილზე საკრებულოს მიერ ჩატარებულ მუშაობაზე, ცხადია, დაწერილებით ვერ ვისაუბრებთ, ბევრი გაკეთდა, ბევრიც გასაკეთებელია, მაგრამ მწამს, ერთობლივად, შეთანხმებული მუშაობით კიდევ ბევრს შევძლებთ.

საკრებულოში წარმოდგენილ ოპოზიციას რას გვეტყვით, რამდენად ჯანსაღია პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დამოკიდებულება?

ამჯერად ჩვენს შორის ის დამოკიდებულებაა, რაც უნდა იყოს ოპოზიციასა და პოზიციას შორის.

როცა ამირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარედ, იყო ოპოზიციიდან მცდელობა მწვავე გამოხტომებისა, რაც, ჩემი აზრით, იყო ხალხისთვის იმის ჩვენება, რომ ისინი, თითქოსდა, ხალხისათვის არიან, მაგრამ ბრძენია

ხალხი, კარგად ახსოვთ, რაც მათ დროს ხდებოდა...

ზომ არ მიიჩნევთ, რომ უფრო რთული რეალობის წინაშე აღმოჩნდით, როცა საკრებულოს თავკაცი გახდით, ვიდრე მანამ გეგონათ?

რა თქმა უნდა. ჩემთან ბევრი მოქალაქე შემოდის პირადი პრობლემებით. კანონის ფარგლებში ზოგს ვეხმარებით, ზოგს ვერა, რადგან ჩვენს ძალებს აღემატება, რასაც ძალიან განვიცდი.

საკრებულოსა და თქვენი უფლებამოსილების დარჩენილ დროში რა სახსრებს გეპირდებით, რას უნდა ველოდეთ სამტრედიელები?

ჩემი უფლებამოსილების დარჩენილ დროში მაქსიმალურად ვეცდები, ვველა დაწეული საქმე ბოლომდე მივიყვანო, ვველა პრიორიტეტული საკითხი მოგვარებული იყოს, რათა შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები და მეტი კეთილდღეობა ჰქონდეს თითოეულ ოჯახს.

ზომ არ იგეგმება საკრებულოს ანგარიში ამომრჩევლის წინაშე გაწეული მუშაობის შესახებ? ამომრჩევლებთან ფართომასშტაბიანი შეხვედრა გეაქვს მხედველობაში.



რა თქმა უნდა. ხალხის არჩეული ხელისუფლება ვართ, აქამდე ხალხთან ერთად დაუგვემთ ბევრი რამ, ასე გაგრძელდება მომავალშიც.

მუნიციპალიტეტის თავკაცის პოზიციიდან, როგორი იქნება მომდევნო წლები საქართველოსთვის, სამტრედიელებისთვის?

მომდევნო წლებში სამტრედიისთვის, საქართველოსთვის ბევრად უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება.

ჩვენ გამოწვევებითა და სირთულეებით აღსავსე წლები გამოვიარეთ, ჩვენ ვახორციელებთ რეფორმებს და ვქმნით განვითარების პირობებს, საიმისოდ, რომ გზა გავუხსნათ ქართველი ხალხის ნიჭსა და პოტენციალს, ფეხზე დაგვიყენოთ ქართული ეკონომიკა.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი მთავრობა ნამდვილად ერთგულად ემსახურება ხალხს, ქვეყანას.

ერი და ბერი საუბრობს ამერიკაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ. მოგესხნებათ, ამერიკა საქართველოს სტრ-

ატეგიული პარტნიორია, თქვენი აზრით ზომ არ უქადის ყოველივე საშისროებას ჩვენს იდენტობას, ტრადიციებს?

მართალია, ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარი ვთქვამთ ტრადიციებზე და ბრძალ მივიწოდოთ მათ.

რაზე დგას ქართული სახელმწიფო? ჩვენს სარწმუნოებაზე, რამაც აქამდე მოგვიყვანა და კიდევ ოჯახის ინსტიტუტზე, რასაც თანამედროვე, ძლიერი სახელმწიფო უნდა დაეფუძნოს. ოჯახს მეორე ტაძარს უწოდებენ და მწამს, სწორედ ოჯახია ყოველი სიკეთის საწინდარი. აქედან გამომდინარე, როგორც რეგითი ქართველი, ვეწინააღმდეგები ერთსქესიანთა ქორწინებას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გითხრათ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას, გაზეთი ობიექტურად, პროფესიულ დონეზე ამუშავებს მიმდინარე მოვლენებს, რაც მისასაღებელია.

წარმატებებს გისურვებთ!

სიკვდილს გადაარჩენილი დედა-შვილი დახმარებას ითხოვს

ნათია ნაცვლიძე

რედაქციაში შეწუხებული ქალბატონი ლიანა ჩაჩუა მობრძანდა, რომელსაც რანმადის ქუჩის № 14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინა მხარე ჩამოეგრა. ქალბატონი ლიანა ერთ შვილიან ერთად ცხოვრობს. 8 ივლისს, გამთენიისას, მის ერთსართულიან საცხოვრებელს წინა ოთახი სრულიად ჩამოეგრა, დედა-შვილი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ქალბატონი ლიანა ჩაჩუას ოჯახში ვითარების გასარკვევად მივიდნენ ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები. საქმის კურსშია გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერიაძე, რომელმაც ასევე კაბინეტში მიიღო მასთან დახმარების თხოვნით მისული ქალბატონი ლიანა.

ლიანა ჩაჩუა: "59 წლის ქალი ვარ, მყავს შვილი ხვიჩა არეველაძე. დიდი ხანია, დავედიარ მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ბატონ ვალერიანთან, ვეხვეწებოდი, არ დაინგრეს სახლი. დამეხმარეთ-მეთქი, ჩემს გასაჭირს ყველას ვუყვებოდი. 33 წელი ვცხოვრობ ამ სახლში, უკვე დაინგრა სახლი. ბატონ ვალერიანს ვუთხარი, წავალ, ბინას ვიქირავებ და თანხა თქვენ გადაიხადეთ-მეთქი. არაო, მიპასუხა. ახლა ვნახოთ, როგორი იქნება რეაგირება. აქ დამის გათუვა შეიძლება? შვილი 29 წლისაა და უმუშევარია, გაუსაძლის პირობებში ვართ. ოთხშ-

აბათი თენდებოდა, დამის 3 საათი იქნებოდა, ჰმსართან სატვირთო მანქანამ, "ტრაილერმა" ჩაიარა, სახლი აზანზარდა და ჩამოინგრა. რამდენი ხანია ვეხვეწებოდი გამგეობას დახმარებას, ბოლომდე ვიბრძოლებ".

კომენტარი მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიაძეს: "ჩვენ სოციალური დახმარების პაკეტი გვაქვს, ქალბატონ ლიანას 150 ლარის ოდენობით სოციალური დახმარება ორჯერ მივეცით, თუმცა, ეს არ არის საკმარისი. სახლის აშენების შესაძლებლობა ჩვენ არ გვაქვს. გვეცოდება, მაგრამ, მუნიციპალიტეტში 300 ოჯახზე მეტი გვაქვს აღრიცხული, ზოგს სახურავი არ აქვს, ზოგსაც - საერთოდ სახლი. რომ ვითხრათ, ყველა აუცილებლად დაგმაცხოვრდება, მოგატყუებთ. გვინდა, აუცილებლად დაგვრათ ეს საკითხები. ყველას ერთად ვერ მივხედავთ, განსაკუთრებულად გაჭირვებულებს და ვეხმარებით. ეს ქალბატონი ამ გაჭირვებულების კატეგორიას მიეკუთვნება. აქ არიან მრავალშვილიანებიც. შეიქმნება კომისია, რომელიც 300-დან პირველ ეტაპზე 10-ს, შემდგომ 10-ს გამოყოფს და ა. შ. ჯერ განსაკუთრებულად გაჭირვებულები დაგმაცხოვრდება".

ეს კერძო საკუთრებაა. სახელმწიფო ყველას ვერ დაეხმარება. ზოგი უსახლკაროა, ზოგი - ოჯახს გამოეყო. კომუნისტურ პერიოდში ბინათმშენებლობები

მიმდინარეობდა, დღეს კი არ გვაქვს ამის რესურსი. მოქალაქე თავად ზრუნავს თავის საცხოვრისზე. კი, სახელმწიფო მოეხმარება, მაგრამ სახელმწიფოსაც თავისი შესაძლებლობები აქვს. ამ ეტაპზე ჩვენ სახლის მშენებლობას ვერ შევძლებთ. 300-ზე მეტი ნახევარი ოჯახი ქირით გასვლას ითხოვს. აი, ამ შესაძლებლობას განვიხილავთ. თითოეული მოქალაქე ჩვენთვის არის პრიორიტეტული, მაგრამ ძალიან ბევრია, ისეთი, ვინც გადაუღებელ დახმარებას საჭიროებს.

გალმა ზონის სოფლებში სტიქიით დაზარალებულ 2 ოჯახს სახლი შეუძინა დეენილო და განსახლების სამინისტრომ, რომელსაც დახმარების თხოვნით ჩვენ მივმართეთ. ორი ოჯახი დაკმაყოფილდა. მერე იყვნენ ჩამოსულნი და 3 ოჯახი კიდევ გადაამოწმეს. არის სახლები, რომლებიც მოუვლელია ან სხვა მიზეზებით ინგრევა.

ვაპირებთ, მომავალ წელს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან ჩვენს ბალანსზე გადმოვიტანოთ ყოფილი სამსახურის, ტუბ-დისპანსერის, ყოფილი პოლიციის შენობა. ეს თხოვნა უკვე გავუგზავნეთ სამინისტროს, რომ ამ კატეგორიის ხალხი იმ შენობების გარემონტების შემდეგ იქ შევასახლოთ. ყველა ოჯახს, რა თქმა უნდა, ვერ დაგვამცხოვრებთ, მაგრამ ქალბატონ ლიანას მდგომარეობაში მყოფთ შევეხილებით".



გზა გავლილი მიწიდან ზეცამდე

ტროპარი: “მოციქულთა თავნო და ყოვლისა სოფლისა მოძღვარნო, მაცხოვარსა ყოველთასა ევედრებით, რათა მოსცეს სოფელსა მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა”.

ამ ორ ადამიანს, თითქოს, უფსკრული ამორედათ ერთმანეთისგან მანამ, სანამ ქრისტე არ იქცა მათ გზად და ბჭედ, უფლისძემიერი მომწივრება და ჭკუმატიტების საოცარი სიყვარული აერთიანებდათ. უფლის მიერ განგებულებით, თავიანთი მოციქულებრივი დავალების დასასრულს ერთმანეთს შეეწოდნენ რომში ქრისტისათვის განათლებასა და გაძლიერებაში.

პეტრე ანდრია მოციქულის ძმა იყო და მასთან ერთად მისდევდა მამის ხელობას – გალილეის ტბის ზვირთებში მოაპოვებდა ყოველდღიურ პურს არსობის-

ას. სახელი მისი სიყრმითგან იყო სვიმეონ. ერთ დღეს ქრისტემ გამოიარა ნაპირთან და პეტრესა და ანდრიას უთხრა: “მოვედით და შემომიდევით, მე და გვენე თქვენ შესათხვეველ კაცთა”. ამ წუთებიდან მოყოლებული, პეტრე, მხურვალე სიყვარულითა და კანნიერებით სავსე, არასოდეს მოშორებია უფალს: თაბორის მთაზე, ფერისცვალებისას, თუ იაროსის ასულის მკვიდრებით აღდგინებისას, ზეთისხილის ბაღებში ქრისტეს შეპყრობისას თუ ქრისტეს სამსჯავროს მოლოდინში...

კანნიერება ტყუილად არ გვიხსენებია, – სიყვარული იყო იმდენად ძლიერი და მხურვალე, რომ გააბედვინა და ზღვის ტალღებზე მოსიარულე მაცხოვარს შესთხოვა: “უფალო, მიბრძანე მე მისვლად შენდა წყალობა ამით ზედა...” და წყალზე მოსიარულე მაცხოვრის გზა შეუდგა...

პავლეს – მამულის სჯულისამებრ აღზრდილს, ქრისტე და ქრისტეანები ჭკუ-

მარიტი ღვთის მემობელებად მიიჩნია. ამიტომაც, განსაკუთრებული სისასტიკით სდევნიდა მათ. სახელი მისი სიყრმითგან სავლედ იყო. იგი მოულოდნელად დაბრმავდა, როცა ქრისტე აღიარა, მოინათლა და უფლის ნათელთან ერთად მიწიერი მზის ნათელიც იხილა – მას მყისიერად აეხილა თვალი. სწორედ ნათლობისას ეწოდა სახელად პავლე. გადმოცემის თანახმად, სამი წლის განმავლობაში მას თავად მაცხოვარი ეცხადებოდა, ქრისტეს რჯულში განასწავლიდა და სამოციქულო დავალებისთვის ამზადებდა.

ორივემ უძიძიესი გზა გაიარა მიწიდან ზეცამდე – გზა ქრისტესმიერი მოციქულისა: დევნილება, პყრობილება, ცემა, ტანჯვა, შეურაცხყოფა... მაინც ვერაფერი აბრკოლებდა მათ მღვდამოსილ სულას – სწორედ მათმა ქადაგებამ რომში საბოლოოდ შეუერთა ძირი ნერონის ბოროტების იმპერიას. და, რაც მთავარია, თავიანთი უდიდესი სიყვარულითა და უს-

აზღვრო რწმენით სავსე ქადაგებებით ათასობით და ათი ათასობით ადამიანს მოაქცევდნენ.

წმინდა მოციქულმა პეტრემ და პავლემ თავისი ცხოვრებითა და მოწამებრივი არსასრულით დაამოწმეს თავიანთი სარწმუნოება, ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარული, ჩვენ კი, თითოეულ ადამიანს, მოგვცეს მაგალითი ღვთისათვის სათნო ცხოვრებისა.

და აღესრულნენ ისინი “პეტრე – დასაბამი მართლმადიდებლობისა, პავლე – ფხიზელი მესაჭე ქრისტეს ეკლესიისა”. (წმინდა იოანე ოქროპირი).

12 ივლისს პეტრე პავლობა აღინიშნება, 13 ივლისს კი კრება წმინდა დიდებულთა და ყოვლადქცებულთა ათორმეტთა მოციქულთა.

მკვ. ციხიანი



ყოველთა ქაითველთა კონგხესი

შემოდგომზე გაიმართება. ასეთია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივა.

ერისა და ქვეყნის განუზომელმა სიყვარულმა შთააგონა ჩვენზე მლოცველ პატრიარქს ყოველივე.

დროზე სწრაფად გარბის დრო. პატრიოტულ, მამულიშვილურ ინიციატივას ინიციატივაზე აჟღერებს პატრიარქი, თუმცა...

ყველას რომ ჩვენი სულიერი წინამძღოლისთვის ყური გვეგდო, გაგვეთავისებინა, შეგვესრულებია ყოველივე, ჩვენც კარგად ვიქნებოდით და ბედკრულ საქართველოშიც უკეთესი ვითარება იქნებოდა.

გადის დრო, ერთფეროვნად, უსიხარულიდ, უიმედოდ...

ისევ ისე გულდამძიმებული მიდიან ქართველი ქალები თურქეთში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში. რჩებიან შე-



ილები უდევდნენ. ოჯახები უდიასახლისოდ. იბადება და იზრდება გულცივი, უსიყვარულო თაობა, მატულობს დანაშაულები...

ვიმედოვნებთ, ყოველთა ქართველთა ეროვნული კონგრესის ჩატარება ხელს შეუწყობს ქართული სულის კიდევ უფრო გაღვივებას, ალბათ, უფრო ადრე

იბრუნებს პირს ბევრი სამშობლოსაკენ. ერთი სიტყვით, შორს გამიხსული, დაღვებით შედევებზეა ორიენტირებული პატრიარქის ეს გადაწყვეტილება, რომელიც მე, ამ წერილის ავტორს, უბრალო მოკვდავს, ხელისუფლებისადმი მტკიცე გზავნილად მიმაჩნია, რათა გაცილებით მეტი გაკეთდეს საქართველოდან განიხნული ქართველების სამშობლოში დასაბრუნებლად, ქართული კერის ასახმიანებლად, ერის გასამრავლებლად.

ახალი არავისთვისაა, რომ მისი უწმინდესობა, ჩვენი ცოდვათა მტკვირთველი პატრიარქი დღესა და დამეს ფიქრსა და ლოცვაში ატარებს, გადაწყვეტილება კონგრესის ჩატარების შესახებ ამის დასტურია.

ამჯერად კი, ამჯერად ორიოდ სიტყვა იმ უზომოდ განათლებულ, ერუდირებულ კაცზე მინდა ვთქვა, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო წლებში, მისდა უნებურად ახალ ამბულაში წარმოგვიდგინა თავი.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, პროფესორი, ბატონი დემურ ლაღანიძე მეავს მხედველობაში.

ყოველთვის ყურადღებით, სიამოვნებით ვკითხულობდი მის წერილებს, ერისკაცის ნათქვამ-განსჯილი, დაუნჯებელი აზრები რომ გამოპკრთის თითოეული აბზაციდან.

“სამტრედიის მაგნი” ახლანაზ გამოქვეყნებულმა წერილმა “ჟამი ფიქრისა და განსჯისა” საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ბატონმა დემურმა ამ წერილით ცხადად დაგვიხატა ბედკრული სამშობლოს მწარე წარსული, არანაკლებ მწარე სინამდვილე და ერის, ქვეყნის, სარწმუნოების, საყოფარღო მომავალზე ღრმად და ძირეულად დაგვაფიქრა.

მადლობას ვუხდით მამულის ბედსა და უბედობაზე მიყურადებულ კაცს, პროფესორ დემურ ლაღანიძეს წერილში გაუღებებული თითოეული სტრიქონისათვის, იმედს ვიტოვებთ, იმისას, რომ არ გადაშენდება ერი, რომელსაც მისი უწმინდესობის დარი სასულიერო და ბატონი დემურისნაირი საერო კაცნი ჰყვანან.

ლევან ბაგჩაძე

იქჩიხი თუ იქჩინი აბეჩიასა და აბეჩიყლებს?



ეს მათ გარდა არავინ იცის, მაგრამ უეჭველად ბევრი გააოცა ამას წინათ საინფორმაციო საშუალებებით გაუღებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ამერიკის 50-ზე შტატში ერთსქესიანთა ქორწინება ნებადართული გახდა. გაგვაოცა იმ აჟიტირებული ამერიკელების ხილვამაც, სიხარულს რომ ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ რასაც 2020 წლისათვის ელოდნენ, გაცილებით ადრე გახდა შესაძლებელი?!

მხელბელების ჟამს რომ ამერიკამ ხელი არაერთხელ გაუმართა საქართველოს არავინ უარყოფს.

ჩვენში ესოდენ მოჭარბებული თურქული კინოფილმების გავლენა რომ იგრძნობა საქართველოში, არც ესაა სადავო.

გვაფიქრებს ის, რომ ხვალ, ზეგ, სამემისოდ ჩვენი ახალგაზრდები არ აღმოჩნდნენ ოკეანის გადმელი თანატოლების თანამზრახველთა, თანამოაზრეთა შორის...

გვაფიქრებს ისიც, რომ ამერიკა-საქართველო საიმედო, სანდო პარტნიორებია, ორ ქვეყანას შორის მანძილის მიუხედავად, სიმორის ზღვარი წაშლილია...

ასე რომ, საფიქრალი ბევრია...

ტრადიციებისადმი ერთგულებით, ვაჟკაცობით, კაცურკაცობით, მტრის მტრად, მოყვრის მოყვრად ცნობით იყო და არის განთქმული ქართველი კაცი.

კაცი კაცობდა, ქალი – ქალობდა ოდითგან საქართველოში.

ასე რომ... სხვა გზა არ დაგვრჩენია ქართველებს მამა-პაპათა ტრადიციებისადმი ერთგულების გარდა.

ლევან ბაგჩაძე

ვიოაც მოგვისძებნს რა...

ლევან ბაგჩაძე

თანამედროვე კომუნიკაციაში ლამის მანძილი წაშალა შორეულ ქვეყნებამდე. საათის უკან ინდოეთში, ბანგლადეშში, სამხრეთ აფრიკაში მომზადარი კარგი თუ ცუდი ამბავი უკვე მთელი პლანეტისათვისაა ცნობილი და ამბავი ცუდი არაფერია, მეტიც, თანამედროვე ეპოქის კანონზომიერებაა ყოველივე.

ერთ საკითხზე ვაგამახვილებთ ამჯერად ყურადღებას, რომელიც, ჩვენი აზრით თუ მეტი არა, დაფიქრებად ნამდვილად ღირს.

საქართველოში ყველამ იცის, თუ ვინ არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი და ა. შ. თუმცა, რატომღაც ნაკლებად იცან, ვინ არიან თავიანთ ქალაქებში, რაიონებში მოსამართლეები, პოლიციის უფროსები და ა. შ. ანალოგიური ვითარებაა სამტრედიამაც. ოცამდე რესონდენტს ვკითხეთ, თქვით იმ მოსამართლეთა გვარ-სახელები, დღეს სამტრედიამი რომ მოღვაწეობენ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ვერც ერთმა ვერ გვიპასუხა. ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ გამოკითხულთა შორის არიან თვითმმართველობის სხვადასხვა სამსახურებში დასაქმებულნიც.

სხვა აურაცხელი, მეტად საინტერესო ცნობასთან ერთად თავის ცნობილ წიგნში “სამტრედა 1870-1914 წლებში” ჩვენს თანამემამულე პროფესორს,

ბატონ ვაჟა თვალავაძეს (რა თქმა უნდა, შესაბამის წყაროზე დაყრდნობით) მოჰყავს გასული საუკუნის დასაწყისში სამტრედიის სასამართლოებში განხილულ საქმეთა სტატისტიკა, აქვე ვეცნობთ ჩაღვნილ, დანაშაულთა ხასიათსა და კლება-მატების სიხშირეს. დღეს კი საზ-

ღებულებს მოსამართლეს, პოლიციის უფროსს წელიწადში ერთხელ ანგარიშით თუ არა, ინფორმაციით მაინც წარსდგეს მოსახლეობის წინაშე, სამართალდამცველებმა უნდა მოისმინონ ხალხის აზრი, მეტი კომუნიკაცია უნდა დაამყარონ იმ ადამიანებთან, რომელთა უსაფრთხოებ-



ოფალებისთვის უცნობია, რა ვითარებაში უწევთ მუშაობა რაიონებში, ქალაქებში მოსამართლეებს, სასამართლოებს, პოლიციას, როგორია დანაშაულის სტატისტიკა, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულთა იყო, იმატა, თუ... და ა. შ. ასე რომ, მთავარი ინფორმაციები მედიისათვის მიუწვდომელია, საზოგადოებისათვის უცნობია.

მეორეც, უნდა არსებობდეს მექანიზმი სახელმწიფოში, რომელიც დაავალ-

ისა და მშვიდად ცხოვრებისათვისაც არიან ისინი მოწოდებულნი.

გვემის, რომ დროის მოთხოვნით ქვეყანაში ასობით უცხოური კომპანია შემოდის, რაც რიგ შემთხვევებში კარგია. ანალოგიური ვითარებაა რეგიონებშიც.

ამას წინათ, სამტრედიამი კეთილი მისიით შემოვიდა ერთ-ერთი საქციო საზოგადოება, რის შესახებაც ადგილობრივმა ბეჭდურმა მედიამ მათი წასვლ-

ჩვენ, გახლეჩილი, ამ ქვეყნის მოქალაქეები არა ვართ?!

ჯატიყციხედაც მოვიტოხოვთ სამხილიცნობის აღგენას!

პატივცემულო რედაქციავ!
 მთელი ჩვენი ქვეყანა შესხრა მიმდინარე წლის 13 ივნისს თბილისში მომხდარმა უპრეცედენტო სტიქიურმა უბედურებამ, რომელმაც შეიწირა 22 ადამიანის სიცოცხლე და ქვეყნის მთელი უდიდესი მატერიალური და მორალური ზარალი. შემთხვევამ ერთ მუშტად შეკრა ერი და ბერი, ახალგაზრდა და მოხუცი, ჟურნალისტები და ხელოვანები, მდიდარი თუ უპოვარი, ხელისუფლება და ოპოზიცია. ყველანი ცდილობენ, თავიანთი წვლილი შეიტანონ მიყენებულ ზარალის ლევიდაციის საქმეში; გაიზიარონ დაღუპულთა ოჯახების უსაზღვრო მწუხარება, დაზარალებულთა ტკივილი, ოღონდაც ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ მდგომარეობა. ჩვენც, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშის მოსახლეობა სულთ ხორცამდე შეგვძრა ამ ამბავმა. ეუბრთვებით საყოველთაო გულისტკივილს და იმედს გამოვთქვამთ, რომ სამართალი იხიებებს; დამნაშავენი, თუ ასეთები იქნებიან, პასუხს აგებენ კანონის წინაშე, ხოლო მსგავსი ტრაგედია მომავალში გამორიცხული იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით.



წლის 11 აპრილს ღამის 1-ლ საათზე წყალმა გადმოლახა საყრდენი კედელი, ნაწილობრივ დაანგრია იგი და საკმარისი იყო კიდევ 20-30 წუთი, რომ მომხდარიყო კატასტროფა. მაგრამ მოსახლეობამ, კერძოდ, ოთარ კაშიაძემ გაიხსია, მიაღწია პესამდე, ასწიეს წყლის ფარები და სოფელი გადარჩა. ასეთივე მოხდა 2012 წლის 15 ივლისს. ჰესის მამინდელმა დირექტორმა პირდაპირ გვითხრა, ცხვარი შესწირეთო უფალს. ყოველივე ეს გამოწვეული იყო ხელისუფლების დანაშაულებრივი უმოქმედობით, რადგან პესი 100%-ით სახელმწიფოს საკუთრება იყო და მიუხედავად ჩვენი გამუდმებული მოთხოვნისა, არად აღედგინეს სოფლის გასაჭირს. ამავე არხის მარცხენა მხარეს, განთავსებულია სოფლის მიწის საგარეულები. მალევე არხზე გათვალისწინებული იყო პირუტყვის გადასარევი ხიდის აგება, მაგრამ იგი დღემდე გაუკეთებელია. მაცხოვრებლები არხის გადალახვას ახე-

რბენდნენ მასზე გაჭიმული ბაგირისა და გორგოლაჭების მეშვეობით, რასაც 1995-2009 წლებში მოჰყვა 9 ადამიანის დაღუპვა. შემზარავია ის ფაქტი, რომ 2009 წლის 29 ივლისს ხალხის მიერ აგებული ე. წ. ბონდის ხიდიდან არხში გადავარდა ქალბატონი დალი გე-

რამე. მას საშველად გადაჰყვა მეუღლე აკაკი გერაძე, მაგრამ ორივენი დაიღუპნენ. აკაკი გერაძის ცხედარი დღესაც დაკარგულია, ნაპოვნია მხოლოდ ცალი ფეხი. ტელევიზიით ვამცნეთ ქვეყანას, მაგრამ არცერთ შემთხვევაზე არავის უგია პასუხი. "არსაიდან ხმა, არსით ძაბილი!"

ჰესის მკვებავ სადერივაციო არხსა და მოსახლეობას შორის გაკეთებულია ე. წ. სადრენაჟე არხი, რომლის დანიშნულებაც არის მდინარე რიონში მარჯვნიდან ჩამდინარე მცირე შენაკადების აყრება № 1 პესიდან ვინემ მე-4 პესამდე. იგი გათვლილია წამში 19, 2 მ³ წყლის გამტარიანობაზე. სინამდვილეში უხვი ნალექის პირობებში მასში ჩაედინება 100 მ³/მ-მდე წყლის ნაკადი, რასაც სადრენაჟე არხი, ბუნებრივად, ვერ იტევს და განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის თვეებში მოსახლეობა მასობრივად იტბორება და ადგილი აქვს დიდ მატერიალურ ზარალს. აღრიცხულია ასეთი 273 ოჯახი.

ჩვენ მიემართეთ სასამართლოს და წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ს/ს "ვარციხესეხების კასკადს" დაეპირა 302.078 ლარის გადახდა, რაც ძალაში შევიდა 2008 წლის 23 მარტიდან. ს/ს "ვარციხესეხების კასკადიდან" ხელისუფლებამ, ეკონომიკის სამინისტროს სახით, როგორც მისი საკუთრება, ამოიღო მთელი მისი ქონება, გადასცა იგი ახლად შექმნილ შპს "ვარციხე 2005"-ს. ჯერ გააკურთხა სააქციო საზოგადოება, ხოლო 2010 წლის მაისში სასამართლოს მეშვეობით მოახდინა მისი ლევიდაცია. ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ვალი არ გადაეხადა. 2006 წლის დეკემბერში სახელმწიფო შპს "ვარციხე 2005" გაიყვა. ჩვენ ვაღიკი პაერში გადმოვიდა. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები დღესაც გვეწერენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაშია შესული და უნდა აღსრულდეს, მაგრამ თავად "მამა აბრამის ბატონები" არიან და გაურბიან ვალის გადახდას. ჩვენ კი სახლები თავზე გვეწერება.

ჰესის მშენებლობის დროს სოფელს ჩამოეთრია 292 ჰექტარი საუკეთესო მიწის შლამიანი საგარეულები, რომელიც სასუქით ხელოვნურად გამდიდრებას არ საჭიროებდნენ, მთავრობის 1978 წლის № 781 დადგენილებით ამ საგარეულების ჰუმუსის ფენა 0,5 მ-ის სიღრმეზე უნდა მოხსნილიყო და მომხდარიყო მისი რეკულტივაცია, ანუ გადართანილი ყოფილიყო სოფლის ქვერ ნიადაგზე, რითვისაც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იქნა მამინდელი 1,1 მლნ მანეთი. ეს თანხა სადაც გაქრა, სამუშაოები კი არ შესრულდა.

ასევე, მთავრობის დადგენილებით, ბაშის მოსახლეობას მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ ჰესის ექსპლუ-



ის შემდეგ შეიტყო, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით საქმის კურსში არც ადგილობრივი ხელისუფლება ჩაუყენებიათ?!. ქართველები მაქსიმალისტები ვართ, მაგრამ როცა კეთილი მისიით ვსტუმრობთ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულს აუცილებელია მასპინძლები ჩავაყენოთ საქმის კურსში.

ოჯახის წევრებმა წვეულება რომ გამართონ და ოჯახის ორგანიზაციებს არაფერი ჰკითხონ, ამ ამბავს ჰგავს ყოველივე.

მასრა, გუბერნია, თემი, სოფელი, საპოლიციო უბანი, რაიონი, მუნიციპალიტეტი... კონკრეტული დასახლებული პუნქტის ზოგადალმინიშნული სახელებია, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციათა ცვალებადობასთან ერთად იცვლება.

ვიცით, რომ ამ მხისქვეშეთში მარადიული არაფერია. ისიც ჩვეულებრივ მოვლენად იქნა აღქმული თავის დროზე, ტერმინი "რაიონი", "მუნიციპალიტეტი" რომ შეიცვალა. მაგალითად, გამბობი: "მუნიციპალიტეტის გამგეობა", "მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი" და ა. შ. მაგრამ მუნიციპალიტეტში (რაიონებში) არსებული ცენტრალური უწყებების ადგილობრივი ორგანოები იწოდებიან რაიონულ წარმომადგენლობად. რა გამოდის! გვაქვს, მაგალითად სამტრედიის მუნიციპალიტეტი და რაიონული (!) წარმომადგენლობა.

არა, ნამდვილად არ გვაქვს იმისი პრეტენზია, რომ ჩვენ (მე) მივხვდით და სხვები ვერ ხვდებიან ყველაფერს, მაგრამ დროა მსგავსი საკითხებზე დაფიქრდეთ.

მგონი არაფერ შეგვედავება თუ ვიტყვით, რომ წალკელ, ხულოელ, სამტრედიელ კაცს ის უფრო აინტერესებს, ვინ არის მის რაიონში მოსახლოებული ვიდრე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მის რაიონში პოლიციის უფროსი, ვიდრე ქვეყნის შინაგან საქმეთა

მინისტრი და ა. შ.

როცა ამას ვამბობთ, ცხადია მეთხველი მიგვიხედავს, რომ მართლ გეარ-სახელებით მოსამართლეთა ცნობაზე არ გვაქვს პრეტენზია. თუ საკრებულოს, პარლამენტის სხდომებზეა დასმული და შესაძლებელი საზოგადოებრიობის წარმომადგენლთა დასწრება, რატომ ვართ გამოჯანულები სამართალდამცავები და საზოგადოება?

ხშირად თუ არა, იშვიათად მაინც დაგვკითხვებია სახანძრო, სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიპაჟის, ან პატრულის გამოძახება. მართალია, პატარა ქვეყანა საქართველო, მაგრამ მაინც აპერ-იმერში დამკვიდრებული ქუჩების, სოფლების, უბნების სახელები (ტოპონიმები) უცნობია ხშირ შემთხვევაში დედაქალაქში მცხოვრები სამამკველო სამსახურის ოპერატორებისათვის.

მთელ რიგ შემთხვევებში, როცა წუთები კი არა, წამები წვეტენ ყველაფერს, წუთობით გვიწევს ოპერატორებთან ახსნა-განმარტებითი საუბარი სად, როგორ მივიდეს მოცემულ მომენტში საჭირო სამამკველო ბრიგადა.

ძალზე ძნელი და მიუწვდომელია, სასწრაფო, სახანძრო, სამამკველო სამსახურებს ადგილებზე რომ ჰყავდეთ ოპერატორები? ეს გამორიცხავს მთელ რიგ უხერხულობებს, გაზრდის ამ სამსახურთა ავტორიტეტს, ნდობას და დადებითად აისახება ხალხის ჯანმრთელობაზე, და ა. შ.

დიდი ალბათობით ეს წერილი დარჩება "ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა", იქნებიან ისეთებიც, ყველაფერში წინა, ყოფილ ხელისუფლებას რომ დაადანაშაულებს, მაგრამ ჩვენ, მოქმედი ხელისუფლების მიერ მონიჭებული გამოხატვის უფლებით ვისარგებლეთ და ჩვენი აზრი იმ იმედით გვახსნიან, რომ ვიღაც მოგვისმენს და... იქნებ ეს საკითხებიც მოგვარდეს.

ატაციაში გაშვებიდან პირველი 15 წლის განმავლობაში ელ. ენერჯია უნდა მიეღო უფასოდ, ხოლო შემდგომში მუდმივად – თვითღირებულებით.

ჩვენ 1993 წლიდან დღემდე გამუდმებით ვცდილობთ, ამ გადაუღალავი დილემის დაძლევა. არ დაგვიტოვებია არცერთი სახელმწიფო მოხელე, ვისაც ხელისუფლებამ აღნიშნული საკითხის მოგვარება. მაგრამ არც ერთ მთავრობაში არ მოიძებნა პირი, ვინც გულთან ახლოს მიიტანდა და სერიოზულად მოკვდივდა ხელს აღნიშნული ჰესის მწყობრში ჩაყენებას. ეს ერთი ჰესი თვეში უშვებს 3 მილიონამდე ლარის პროდუქციას. ამ მდგომარეობაში მისი მუშაობა კი დაუშვებელია. თუცა მას "წარმატებით" მუდმივ რეჟიმში ამუშავებენ და უდღეს მოგებას ნახულობს როგორც სახელმწიფო, ასევე, მისი ამერეველი მეპატრონე "ჯი ემ ჯორჯიან მანგანუმ პოლიტიკაში ჩვენიანა", კომპანია "ენერჯი პრი ჯორჯია", ელ. ენერჯის მარეგულირებელი კომისია, მუშა-მოსამსახურე პერსონალი და ა. შ. ფეხქვეშა გათვლილი მხოლოდ ბაშის მოსახლეობის კონსტიტუციური უფლება, თავისუფლად და უსაფრთხოდ ცხოვრობდეს საკუთარ ქვეყანაში. მათ არა აქვთ რწმენა იმისა, რომ საღამოს დაიძინებენ და დილით მშვიდად გაიღვიძებენ. 1993 წლიდან დღემდე ჩვენ დაგვიგროვდა უამრავი დოკუმენტი: მიწერ-მოწერა ხელისუფლების პასუხისმგებელ პირებთან, განკარგულებები, პრეტენზიები, პარლამენტისა და მთავრობის კომისიების სხდომის ოქმები, სასამართლო გადაწყვეტილებები, დაპირებები (მუდმივად განმეორებადი) არსებული პრობლემების მოგვარებისა და ა. შ. ვცხოვრობთ ამ დოკუმენტების უზნორო კორიანტელში. არ არის ხელისუფლების ნება, თორემ მოსახლეობისათვე

ის მიყენებული ზარალის 302 078 ლარის გადახდას ჰყოფნის ამ 1 პესის 4 დღის ნამუშევარი. ეს კი ბაშელების აბუჩად ადგება.

დაბოლოს, მინდა გითხრა, პატივცემულო მეთხველო, რომ ჩვენი ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატები, ბატონები ზვიად ძიძიგური და კახა კალაძე სრულად არიან საქმის კურსში და კარგად იცნობენ ბაშის პრობლემებს. ზვიად ძიძიგურის გვერდით დგომით ჩვენ მოვიგეთ სასამართლო პროცესები. გვაქვს ბატონი კახა კალაძის წერილობითი დაპირებები, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იდგურს. ჩვენთვის რა ბედენაა სასამართლოს ისეთი სამართლიანი გადაწყვეტილება, რომელიც დაზარალებულებს ტანამდე ვერ მიიყვანს?

ყოველივე ამის საშუაარსზე გამოტანა გადაგავწყვეტინა თბილისის 13 ივნისის ტრაგედია, ვინძლო, მსგავსი განმეორება ჩვენთანაც შეიძლება მოხდეს და მერე კი გვიანი იქნება ნიანგის ცრემლების ღვრა და მონანიებითი სამძიმარები. არც ერთი დაღუპული ბაშელის ოჯახს, როგორც მთლიანად სოფლის მოსახლეობას, კომპენსაციის სახით ერთი თეთრიც კი არ მიუღია. ჰესი კი აგრძელებს უკანონო, გაუქრებელ მუშაობას და მისი მფლობელების ყულაბაში ოქროს ზოდების დაგროვებას.

საქართველოს ხელისუფალნი! ბოლოს და ბოლოს, მოიცალეთ ბაშელების პრობლემების სასწრაფოდ გადასაჭრელად, ხოლო პარალელურად ბოდიშიც მოუხადეთ მათ. ღმერთი გვევარაუდეს ყველას!

გაბრიელ ბაშის მისიანა ბაშაძე
 და დაბარბაშელი
 მოსახლეობის სახელმძღვანელო
 ნომერი 67678888

ახც უჩიო ნამი საქართველოს ვახუშ

მომხსენებელი

ვუსმენ და მინდა, თავის სამშობლოსაც ისე უყვარდეს იგი, როგორც მას უყვარს. ისე ამოუყვარდეს ვული მინდაბრუნებულების დახატვაზე, როგორც მას, საქართველოს საზღვრებთან მოახლოებულს ემართებოდა.

“როგორ შეგეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შეგეყრება იგი მე... იქნება მე ჩემმა ქვეყანამ შური შემიძლია, როგორც უცხო ნადავლად ვადარდებოდა და აღზრდილია?” ილიასული ეს განცდა და შიში საუკუნეების შეძლებაც აფორიაქებს ქართველს. თუქცა, შურგმუქეულობის მიზეზი უცხო ნადავლად ვადარდებოდა კი არა, ქვეყნის ეკონომიკური წყლვაუმართაობა, შინა პოლიტიკა, პირველობისათვის მუდმივი ბრძოლა, გულგრილობა, მოჩვენებითობა და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი თუ თვისებაა, დედამიწის შურგმუქე მიმოფანტული მისი დღემდე ვერ იქცა საიშვით ადგილად.

ცრემლებამდე უყვარს და აკრიტიკებს, გული ეთანადება იმაზე, რასაც ჩვენ კარგა ხანია, თვლი და ყური შევჩვიეთ. ან იქნებ არც შევჩვიეთ?! დიდხანს ვისაუბრეთ, აქაურზეც ვთქვით და იქაურზეც. პარტიოტინიზმა ტკივილით შემოგვიტია. იმედინა ჩემი რესპონდენტი, სჯერა, რომ ყველაფერი უკეთესად იქნება, ოღონდ: “ადამიანებმა თავი უნდა დაანებონ იმის ძახილს, რომ ვიღაცამ რაღაც არ გააკეთა. სულ ელემენტარულით დაიწყო, საუ-

ეს დროში იქ მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველს უნახავს, მის წინ მუხლი მოუყრია თურმე.

ქალაქ გორლოვკაში და თუნდაც, მთელი დონეცკის ოლქში საქართველოს სიყვარულს ასე რომ ინახავენ, ამაში ნინოს დიდი დამსახურებაა. თვითონაც მონატრებით საუბრობს უკრაინაზე. იქაც მისი სახლია, მისი ქალაქი.

ქალბატონი ნინო სამტრედიელია. ჯერ 1-ლ, შემდეგ კი 24-ე საშუალო (მე-11 საჯარო) სკოლაში სწავლობდა. ხუთოსანი არ ყოფილა, მაგრამ მშობლის დარიგებამ, შენ ისწავლე და ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა ნიშნებს მომიტანო, ცოდნაზე ორიენტირებული გახდა.

პროფესიას კარგად რომ დაუფლებოდა, 1987 წელს, დაამთავრა თუ არა სკოლა, მისაღები გამოცდები გორლოვკაში, იმ დროისათვის საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი დონის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ფრანგული ენის ფაკულტეტზე ჩააბარა. დიმილით გვიყვება: “პედაგოგი, მგონი, პირველ კლასში ვიყავი. მეოთხეში რომ გადავიდი და ფრანგული ენის სწავლა დავეწყე, ვთქვი, რომ ფრანგულის მასწავლებელი გახვდებოდი. როცა სერიოზულად დადგა საკითხი: ექიმობა თუ პედაგოგობა, ცხადია, მე მეორე ავირჩიე”.

მშობლებმა შეილი ასე შორს მართლ არ გაუშვეს და ოჯახი უკრაინაში გადასახლდა. ნინოს ერთადერთი ძმა – სიმონი, მამის მოსწავლე იყო. საშუალო და შემდეგ უმაღლესი განათლება მანაც გორლოვკაში და დონეცკში მიიღო.



606R ტორონტოში

რომ ვიყავი საქართველოში, ხალხი ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა, საზოგადოება შეიცვალა, შეიცვალა ქვეყანა. ახლა, რატომღაც, ადამიანები ინერტულები არიან. უბრალოდ, 50 მეტრის ისე გაივლი, ქუჩაში ერთი ხე არ დგას. შენი ჭიშკარის წინ ნერგის გახარებას რა უნდა? დღეს თუ არა, 5 წლის შემდეგ ხომ მაინც მოგცემს ნაყოფს. მარგველაშვილის ვერ დაგვაკლებო, ჩამოვიდეს და ნერგი დაგვიტოვოს სამტრედიამო. იქ, უკრაინაში მსგავს რამეებს ხალხი თვითონ აკეთებდა.

ამდენი მშობრივი ცხოველი დადის ქუჩაში! ან ამდენ პირუტყვს როგორ უშვებენ ქალაქში. მოდის მაღალი და ქანაობს შიმშილისგან. პურის ნაკჭირი ყოველთვის მიდევს მათთვის ჩანთაში. ვიღაც ხომ უნდა ზრუნავდეს ასეთ ცხოველებზე. ადამიანს ხელი, ფეხი და ტეხის აქვს, გაინძრევა და თავს იჩინებს. ესენი კი შენზე არიან დამოკიდებულნი. და თუ შენ ცუდად მოექცევი იმას, რაც შენზეა დამოკიდებული, შენ როგორ მოგექცევა ღმერთი! შედიხარ ტაძარში და ლოცულობ. ძალა არა აქვს ამ ლოცვას – ხედავ და არ ეხმარები. გული გაქვს გაცივებული და ტაძარში ვიცხელებო? ასე არ არის – გული გაქვს, ან არ გაქვს!” – აზრს გვიზიარებს ნინო.

გორლოვკაში ცხოვრება აიწყვეს ტორონტოში. ნინოს მამა, ბატონი მურმანი სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებელი, რეზინის ქარხანაში იწყებს მუშაობას. ნდობით, პატივისცემით სარგებლობს და ქალაქის მერის არჩევნებშიც კი იღებს მონაწილეობას. დედა, მადონა ხუჭუა, რომელიც რაიონული აფთიაქის თანამშრომელი იყო, მთლიანად გადაერთო საოჯახო საქმიანობაში. მოგვიანებით, ბატონი მურმანი პირველი იყო უკრაინაში, კერძო ბიზნესი რომ წამოიწყო. გორლოვკაში მათი ორთახიანი ბინა საქართველოდან ჩასული ადამიანების ნაესყუდელი გახდა. იქ ყოველთვის ტრიალებდნენ სტუმრები.

“ჭკუის სწავლებას კი არ უწყებდა მამა ხალხს, როგორც შექლო, ისე ეხმარებოდა. – გვიხასიათებს ბატონ მურმანი შვილი. – ჩვენ გორლოვკაში 90-იან წლებში სახლიც ავიშენეთ და აქ რომ გაუსაძლისი პირობები იყო, მამამ მუშები სამტრედიიდან წამოიყვანა. იმდენი ნათესავი ჩამოდიოდა ჩვენთან და იმდენი გაციან! ფეხმძიმე ქალიც კი ჩამოვიყვანეს, რადგან აქ, სამშობლოში შუქი არ ჰქონდათ.

დღესაც უმუშევრობა და უმუშევრობა. რა გახდა, ერთმა ცილა საქართველომ თავის ხალხი რომ ვერ დაასაქმა! ყოველდღე მიდიან სამუშაოდ საზღვარგარეთ საქართველოდან, ყოველი მეორე სახლი იყიდება.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინიდან ჩამოვიდა, სადაც ომია, სამტრედი-

ში მეტი სიმძიმე ვიგრძენი. ამდენი აგრესია, დაძაბული ხალხი. არადა, იქ ყველას ვეუბნებოდი, რომ ჩვენ, ქართველები ყველას ვუღიმიოთ”.

შეცდომი და სამართლიანი ლექტორი ნინო “მურმანოვან” სტუდენტებს ძალიან უყვარდათ. იგი ინსტიტუტში ფრანგული ენის სტილისტიკას, უცხო ენის მეთოდოლოგიას, ინფორმატიკას ასწავლიდა. ხელმძღვანელობდა პედაგოგიურ პრაქტიკას. გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, იყო სამეცნიერო კრებულის რედაქტორი. დონეცკში საქართველოს საკონსულოს გახსნის საქმიანობას. ცდილობდა, გორლოვკაში მცხოვრები 7 ათასზე მეტი ქართველისთვის შეძლებისდაგვარად მიეწვინა ხმა. ეროვნული მუხტით გაჯერებულ მის მიერ მოწოდებულ ლინისიებებს მაყურებლის ნოსტალგია და ცრემლი ყოველთვის ახლდა. ასეთ სადამოებს ოლქიდანაც სტუმრობდნენ მაღალჩინოსნები, ზოგჯერ მათ საქართველოს საკონსულოს ეგედიოც აწყოდა. ნინო ტორონტოში პირად არცერთ კონსულს, ირაკლი ადვანის, ქალაქ გორლოვკის პროფკავშირის მუშაობა თავმჯდომარის, ასევე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ “მზიურის” საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ქართული კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციისთვის გაწეული ღვაწლისთვის მიღებული ბევრი ჯილდო და სიგელი ინახება.

მადლიერია ღმერთის, რომ ქართველად დაიბადა. “არც ერთი წამი საქართველოს გარეშე!” – ამ დევიზით ცხოვრობენ ტორონტოში. ეამყვება, რომ მისმა სტუდენტებმა საქართველოს სიყვარული მისგან წაიღეს. გაიცენეს საქართველო და ქართველები. მისმა არაქართველმა სტუდენტებმა საფუძვლიანად იცოდნენ, ვინ იყო შოთა რუსთაველი, გალაკტიონი, ვაჟა. ზეპირად ჰყვებოდნენ ციტატებს “ვეფხისტყაოსნიდან”. ნინო რუს სტუდენტთან ერთად თარგმნიდა კიდევ პოემას.

“ქართულ ლიტერატურას შეება და ვაჟა გამოტოვო, არ შეიძლება. უკრაინაში არ იტოვებ მას. თუ შენ არ იცი ვაჟა, ადამიანი არ ხარ. უპირველესი მისი ადამიანების აღზრდაა, ყოველთვის ვამბობდი ამას. გენდერული თანასწორობის, ოჯახური ძალადობის საკითხებმა დღეს წინ წამოიწია. აღზარდე ის ქალი, ის კაცი ადამიანად და აღარ დაგჭირდება ამ თემების წამოწევა”. – გვარწმუნებს იგი.

2007 წელს მან ოლქის მასშტაბით ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში კონკურსი ჩაატარა. მასში 8 ათასამდე ბავშვი მონაწილეობდა. ამგვარ აქტიურობას იმით ხსნის, რომ უკრაინელებს ვუყვარვართ. მთავარია, ქართველმა საკუთარი თავი შეიყვაროს და მერე ყველას უყვარხარო, – ამბობს. როცა მისმა სტუდენტმა ჰკითხა: თუმად თბილისი, თუ საერთოდ, საქართველო აერჩია, უთხრა, ვაჟაზე დაეწერა. გოცდა, როცა ნაშრომი წაიკითხა, თუმად გამიარჯვა და იგი დღეს თბილისში მუშეუში დგას.

რედაქციაში სტუმრობისას ნინომ თავისი ერთი სტუდენტის, ვალერია გამანოვას დაწერილი ლექსის წაკითხვა, რომელიც საქართველოსა და უკრაინის მეგობრობის სურვილითაა დამუხტული, ისე როგორც ის და მისი ქართველი ლექტორი მეგობრობდნენ.

ნდობა გამოუცხადეს ებრაელებმა ქალბატონ ნინოს და გორლოვკაში ებრაული საკვირაო სკოლის კულტურის ცენტრის დირექტორად აირჩიეს, ბიბლიოთეკაც ჩააბარეს. მის პატივსაცემად სიმღერის გაკეთილს “თბილისიოთი” იწყებდნენ. ახალგაზრდა ხელმძღვანელმა კი, რომელიც რამდენიმე უცხო ენას ფლობს, აქ ივრითის შესწავლა დაიწყო.

მნიშვნელოვანი იყო “უკრაინის, საქართველოს, რუსეთის მეგობრობის საზოგადოების” ჩამოყალიბება, რომლის პრეზიდენტი მურმან ტორონტოში, ხოლო დამფუძნებლები რევაზ ზარიძე, ალექსანდრინა გრუგლენკო და თვითონ ნინო იყვნენ. საზოგადოებამ კიდევ უფრო ფართოდ გაშალა მუშაობა და მალე მის ბაზაზე ქართული საკვირაო სკოლა დააარსეს. სკოლები არსებობდა დონეცკსა და გორლოვკაში. სწავლება ორ საფეხურიანი იყო და მოსწავლეებს ქართულ წერა-კითხვასთან ერთად ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას და სხვა საგნებს ასწავლიდნენ. სწავლების ასაკი შეუზღუდავი იყო. ყველაზე უფროსი მოსწავლე 60 წლის უკრაინელი მამაკაცი გახლდათ.

ყოველ 14 აპრილს, “დედაენის” დღესაც აღნიშნავდნენ ქართულ სკოლაში. 20 წლის შემდეგ ნინომ უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი დატოვა და გორლოვკის საქალაქო ადმინისტრაციის სოციალურ სამსახურში დაიწყო მუშაობა. აქ მეტად შეიძლებოდა სიკეთის კეთება, გვითხრა. 10 ოჯახი ჩააბარეს. სოციალური აგენტი მათ ნებისმიერ პრობლემას ითავისებდა და გადაჭრის გზებს ეძებდა. მცდელობა ყოველთვის კარგი შედეგით მთავრდებოდა. მაშინაც კი, როდესაც საქმე ნარკოტიკების მომხმარებლებს შეეხებოდა. ნინო, როგორც პროფესიონალი ფსიქოლოგი, კონსულტაციებსაც უწევდა მათ.

ამ ოჯახების ისტორიები ვიცოდი. მსგავს მდგომარეობაში იქ მოსახლეობის 20, საქართველოში კი 80 პროცენტია. აქ იმდენი სამუშაო ამ კუთხით, ალბათ, დამითაც ვერ დაიძინებ. ვეზმარებოდი ბავშვებს, ახალგაზრდებს.” – თავისი სამსახურის სპეციფიკას გვაცნობს იგი.

ნინო ტორონტოში საქმიანობა უყვარდებოდა არ დარჩენილა. საოლქო პრესის ფურცლებზე ხშირად წერდნენ მასზე და სატელევიზიო გადაცემებში იყვნენ. სოციალური სფეროს მუშაების დღესთან დაკავშირებით მოწოდებულ კონკურსში ნინომ “საუკეთესო პროფესიონალი” ტიტული მოიპოვა. სიგელებითაც ბევრჯერ დაუჯილდოვებიათ. რუსეთ-უკრაინის ომში ის ერთ-ერთი მამული რგოლი იყო ეკლესიის სარდაფებში დამალული, შემინებული და მშობრივი ადამიანებისთვის, ავადმყოფებისთვის, დაჭრილებისთვის. შეუძლებელს აკეთებდა, მათთვის მდგომარეობა რომ შეემსუბუქებინა.

ომი ცალკე თემა ნინო ტორონტოში უკრაინული ცხოვრებაში.

“ქალაქში სხვები ჯერ კიდევ მაისში გამოჩნდნენ. ბევრნი იყვნენ, სამხედრო ფორმები არ ეცვათ, მაგრამ ეჭვი მაინც გამოიწვიეს. მაღალსართულიანი სახლების სახურავებზე მსროლელებსაც ვხვდავთ. უკვე ოვლისში ინტენსიური დაბომბვა დაიწყო. იმ დროს მამამ რომ მაღალი სიციხით ლოგინში იწვა და რამდენიმე დღე წამოდგომა ვერ შეძლო.

დაბომბვა სახლები, სკოლები, დაჭრილებიც იყვნენ და დახცილებიც. უკრაინელებს ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ, ტელევიზიით კი რუსები განცხადებას აკეთებდნენ, თითქოს თვითონ უკრაინელები ბომბავდნენ გორლოვკას. იტყვოდნენ, ესა და ეს ტერიტორია დაბომბესო და რამდენიმე წუთის შემდეგ იბომბებოდა ის ადგილი. წინასწარ აკეთებდნენ განცხადებას. ერთ რაიონს რომ დაბომბავდნენ, მერე გრადი მეორე რაიონში გადაჰქონდათ და ახლა იქნება იწყებდნენ დაბომბვას. გამოაცხადებდნენ, 10 საათზე მუწანე კორდონი გაკეთდება, 10-ს რომ 10 წუთი აკლდა, დაბომბვა იწყებოდა. ასეთ დროს როგორ გახვიდოდი?!

სახლის იმედი მქონდა. თუ ჰაერიდან არ დაბომბავდნენ, შესაძლო იყო, ცუდი არაფერი მომხდარიყო.

ავტობიომარჯვებული კნახები და



606R მამასთან ერთად

თარი თავით. არ მოგწონს სხვისი გაკეთებული? მაშინ შენ გააკეთე. არ მოგწონს სხვისი დარგული ხე, ყვავილი? შენ დარგე და გაახარე, იმის წაითხუელი და დაწერილი არ მოგწონს? შენ დაწერე და წაიკითხე. კრიტიკაც არ ჰქვია იმას, რაც დღეს აქ ხდება. ვინც გაკრიტიკებს, უფრო ჭკვიანი უნდა იყოს. კრიტიკა ყოველთვის მიახასიალმებელია, სარკანშით აშენებული და გაკეთებული კი ჯერ არაფერი მინახავს, ასე წინ ვერ წავაბო! ყველა ელოდებოდა, რომ ვიღაც მოვა და მათ ქალაქს, ქვეყანას ვიღაც უშვალის. ამ დროს სხვა ვერაფერი, შენს თავს თვითონ უნდა უშვლო”.

ნინო ტორონტოში პირველად მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ ლინისიებზე შეხვდი. ნოსტალგიათა სახე სიტყვით გამოსვლა იმით დაასრულა, რომ უკრაინიდან წამოდებული ქართული დროშა გაშალა, რომელზეც გასტროლებზე მყოფი ნინო რამიშვილს, ემიგრანტი თანამემამულეების პატივსაცემად, წარწერა გაეკეთებინა. როცა

სწავლასა და ინსტიტუტის კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ნინო ტორონტოში ჯგუფის ხელმძღვანელად აირჩიეს. ჯგუფში 10 სხვადასხვა ეროვნების სტუდენტი სწავლობდა. ისინი ქართველებთან ერთად საამოვნებით მონაწილეობდნენ ნინოს მიერ მოწოდებულ ლინისიებებში.

ნინო კათედრაზე დატოვეს. 21 წლისა უკვე ლექტორი გახდა. სამეცნიერო მუშაობის გაგრძელების მიზნით მან საკანდიდატო მინიმუმი ინგლისურსა და ფილოსოფიაში ჩააბარა. მაგრამ მალე, საქართველოს მსგავსად, ეკონომიკური სირთულეები უკრაინასაც შეექმნა და სურვილი ვერ განახორციელა.

“სამი წელიწადი ანახლავდნენ გარემუ დავიდიოდი სამსახურში. ვიცოდით, სიძნელეებს მალე გადავლახავდით და კარგ ცხოვრებას დაიწყებდით. ახლა რომ ვხედავ, სამტრედიამო რა ხდება, დახლოებით მსგავსი სიტუაცია იყო 90-იან წლებში იქ. მეგონა, აქ მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებული დამხვდებოდა, რადგან 10 წლის წინ



30 წლის წინ...

თბილისი

მოსაყოფი და გასახსენებელი ბევრი აქვს, მაგრამ ამჯერად რედაქციაში თამაზ მიქაძის სტუმრობა ერთი სამტრედიელი ობიექტის დაბადების დღის აღნიშვნას უკავშირდება. სწორედ დაბადების დღის, რადგან ბატონი თამაზის თვე და რიცხვიც ახსოვს, როცა მის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა. მას შემდეგ წლები გავიდა და ეს ადგილი მრგვალი თარღის "აღნიშნავს". იგი ის პარკია ქალაქის ცენტრში, რამდენიმე წლის წინ "მომავლის პარკის" სახელით რომ მოინათლა. ყველაფერი კი ჩვენი სტუმრის ინიციატივით დაწყებულია 30 წლის წინ. როგორ განხიდა აქ ეს პატარა დასახლებული ადგილი, ბატონი თამაზი დაწვრილებით ჰყვება.

სამტრედიელების ხსოვნას შემორჩენია-თქო, ჯერ ვერ ვიტყვით, არც ისე შორი წარსულია, იქ, სადაც ახლა მომავლის პარკია, პირველი საშუალო სკოლის შენობა რომ იდგა. თამაზ მიქაძეც ამ სკოლაში სწავლობდა. მისი დემონტაჟის გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ იგი მაშინდელი თანამედროვეობის მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა, უფრო სწორად, იმდროინდელი კონტინგენტისთვის ძალიან პატარა იყო. სკოლა ახალ შენობაში გადაიტანეს, სადაც დღემდე ფუნქციონირებს კიდევ პირველი საშუალო სკოლის სახელით.

ეს 1985 წელს მოხდა, როცა თამაზ მიქაძეს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. სკოლის გარდა ამ ადგილზე რამდენიმე ოჯახიც ცხოვრობდა – კუჭუხიძეებისა და რევიშვილების კერძო საცხოვრებელი სახლები და ბანკის თანამშრომელთა საერთო საცხოვრებელი კორპუსი იდგა. რამდენიმე წლით ადრე გადატანილი პირველი საშუალო სკოლის შენობის შემდეგ დარჩენილი ცარიელი ადგილი ქალაქის საერთო იერსახეში უნდა ჩამჯდარიყო. თამაზ იმედამდე ინიციატივა რაიონის მაშინდელ პირველ მდივანთან, თამაზ იმედამესთან შეთანხმდა და პარკის გაშენების გადაწყვეტილება იმავე წლის ივლისში ძალაში შევიდა. სამუშაოები მალევე, 15 ივ-

ლისს დაიწყო. პარკის მშენებლობის იდეა იმდენად მისაღები აღმოჩნდა მაშინდელი საზოგადოებისთვის, რომ მის მშენებლობაში საიმედოებით ჩაერთო საჭირო სამსახურების ყველა რგოლი.

და დაიწყო ასე – საქართველოში ცნობილ დიდი ჯიხაიძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, რომელსაც პოლიტო მიქაძე ხელმძღვანელობდა, ჰქონდა ქალაქისა და დასახლებული პუნქტების გამწვანების დეკორატიული საპეციალობის ორი ჯგუფი. მათ სადაბლო ნაშუაგვრად აიღეს და დააპროექტეს მშენებარე პარკი. ორივე ჯგუფის სამოცივე სტუდენტი ხელმძღვანელებთან ერთად მუშაობდნენ მთელი სამი თვის განმავლობაში.

განაშენიანებამდე ეს ტერიტორია ქუჩის სიმაღლის დონესთან დაახლოებით ნახევარი მეტრით დაბალი ყოფილა. ავტონისპექციის მაშინდელ უფროსს, ჯუმბერ კვანტალიანს მიეცა დავალება, აეტოსატრან-

მელი დეკორატიული საყვავილეები თბილისში კერამიკული ნაწარმის ქარხანაში შეუკვეთეს. ეს ინიციატივა გამოიჩინა და თანხა გადაიხადა იანეთის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ჯუმბერ ნეკურაძემ. პარკის მშენებლობა იმ დროს დაემთხვა, როცა თამაზ მიქაძის ხელმძღვანელობით აღმასკომის შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. სწორედ იანეთის სამშენებლო სამმართველო აწარმოებდა მათ. სხვათა შორის, ეს კერამიკული საყვავილეები, ავბედით წლებში, მოსახლეობამ დაიტაცა და რამდენიმე მათგანი ზოგიერთი სამტრედიელის ეზოს ახლაც ამშვენებს. მოპირკეთების სამუშაოები ამირან ბახტაძის ხელმძღვანელობით კომუნალურ საწარმოთა კომბინატმა შეასრულა. განათების საკითხი განათების სამსახურმა გურამ თავაძის თავკაცობით მოაწესრიგა. გამწვანების საკითხი რევიშვილიძემ მოაგვარა, მაშინ იგი სამტრედიის რეინიგების განყოფილე-



ბის უფროსი გახლდათ. რეინიგის ჰქონდა სანერგე მეურნეობა სოხუმში და პარკის ტერიტორიაზე არსებული ნაძვები და სხვა ხემცენარეები იქედან მან ჩამოიტანა. გამწვანების საკითხში ჩართული იყო რაიონის გამწვანების სამსახური. მისი უფროსი, ლილი ლოლაძე პირადად ხელმძღვანელობდა ამ პროცესს. მასთან ერთად აქტიურად მუშაობდა დეკორატიული მარინა ბოგუჩავა. წყალმომარაგების გაერთიანების უფროსმა ფიროზ წიქვაძემ უზრუნველყო შადრეულების და აუზის მოწყობა. "ვისაც რა შეეძლო, იმას აკეთებდა, ყველა ცდილობდა, საქმე წინ

დათ, შეგეძლო, ყველა ინფრასტრუქტურული საშუაო ჩაგეტარებია, აგეტენებია, გაგეტანებია, მოგეწესრიგებია და წლის ბოლოს მინისტრთა საბჭო დახარჯულ თანხას ამგვარი სამუშაოებისთვის მოლიანად რესპუბლიკაში გამოყოფილი თანხების ხარჯზე ანაზღაურებდა. ასე რომ, კარგი ინიციატივები მაშინ უყურადღებოდ არ რჩებოდა." – დასძინს იგი. სხვა ობიექტებზე, რომლებიც ხელმძღვანელ თანამდებობებზე მისი მუშაობის დროს შეემატა ქალაქს, კიდევ ვისაუბრებთ. და ვისაუბრებთ ნებისმიერი ხელმძღვანელის ინიციატივებზე, ნებისმიერ ობიექტსა და შენობაზე, დღეს უკვე 145 წლის სამტრედიის ისტორია რომ ჰქვია.

პარკი კი, ქალაქის ცენტრში, ასე მონდომებით და სწრაფად რომ გაშენდა, საშვიდნოეობროდ, ანუ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აღსანიშნავი აღლუმისთვის, უკვე დასრულებული იყო.

მას მერე წლები გავიდა. ისტორიისთვის ბევრი სულაც არა, მაგრამ საზოგადოების მესხიერებისთვის არცთუ ცოტა. პარკს ქალაქის ცენტრში, "მომავლის პარკი" დაერქვა. სამოქალაქო ომის და შემდგომ პერიოდში გაპარტახებული, მოწესრიგდა და ბავშვებისთვის სხვადასხვა გასართობი შეემატა. საზოგადოების გულგრილობის გამო ხშირად საჭი-

რებს დასასვენებელი სკამები თუ ატრაქციონები შეეკეთებას. თუმცა, არც შესაბამისი სამსახურების მეტი ყურადღება აწევნდა მის მიმდებარე არსებულ ინფრასტრუქტურას. "ქალაქს ერთადერთი პარკი აქვს. სასურველი და საჭიროცაა მისი მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგებული იყოს, მით უმეტეს, ტურისტულ სეზონზე, როცა სამტრედიას ათასი სტუმარი ჰყავს. რევიშვილის ქუჩა, რომელიც თავდაპირველად პუ-



შენის სახელობისა გახლდათ და პარკს ესახლვრება, ცხრა მეტრია იყო. "ნაციონალურმა" ასფალტი ექვს მეტრზე დააგეს. დაგებული ასფალტის გაგრძელებაზე წყალი დგება და მოსახლეობა წვიმის დროს მათ მიერ დაღებულ აგურებზე ხტუნვით შედის პარკში. დანაგვიანებული და მოწესრიგებული სასტუმროს უკანა მხარეს არსებული ტერიტორია. ამ ქუჩას რეკონსტრუქცია ნამდვილად სჭირდება. წყალი დგება რესტორან "დათას" წინ, რომელიც სამტრედიის მომუშავე უკრანულ ფორმას აქვს ნაქარავები. ჩემი რამდენჯერმე თხოვნის შემდეგ, შეადგეს თამარ მეფის ქუჩიდან გადასასვლელი პატარა ხიდი. მას ოვალური ფორმა ჰქონდა და გადასასვლელად მოუხერხებელი იყო. ამ ხიდთან ერთად აუცილებელია სპეციალური შესასვლელიც ჰქონდეს პარკს ბავშვთა და ინვალიდთა ეტლებისთვის. იმედია, კეთილი განზრახვით მიცემულ ამ შენიშვნებს გაითვალისწინებენ ისინი, ვინც ამ საქმეში კომპეტენტური არიან და მომავლის პარკის მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგდება." – იმედოვნებს თამაზ მიქაძე.

გრძელი ნიაკი ზაფხულის მხრე მუქანე ადგილებისკენ უბიძგებს ქალაქელებს და მის სტუმრებს. დამის სამტრედიაც სწორედ "მომავლის პარკში" ირთობს თავს. და ცოტა მთუ იცის, რომ აქ წლების წინ სხვა ჟრამული ისმოდა.

ჩვენები კარგდამეორალი მანქანებითა და რუსული დროშების ფრიალით შემოვივინდნენ. ხალხი ყველაფერს ტოვებდა და გარბოდა. ეგონათ, მალე დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. 7 თვე იბომბებოდა გორლოკა". – გვიყვება ნინო ტორონჯაძე.

მეშახტეთა ქალაქი თითქმის დაცარიელდა. რუსების მომხრეებიც კი გარბოდნენ. ექიმების ნაცვლად ახლა აქაქი დარჩენილი ექიმები უწევდნენ დაჭრილებს დახმარებას.

სოციალური მუშაკები მთელი დეტვირით მუშაობდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან სატელეფონო კავშირის ამყარებდნენ და მათი დახმარებით მედიკამენტებით მარაგდებოდნენ.

სიბნელეს უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების ყუილი არღვევდა. დანგრეული და დამწვარი სახლებიდან კვამლი ჯერ კიდევ ამოდიოდა, რომ ახალ-ახალი დაბომბვა იწყებოდა. ბომბავდნენ დროის ნებისმიერ მონაკვეთში. უკვე

ხმაზე ვცნობდით, რომელი იარაღიდან ისროდნენო, – აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი.

ქალაქის დატოვების წინააღმდეგი ვიყავი, ნინო. თავისი თვალით ნახა, ორ ავტომანქანას, რომელშიც მისი ნაცნობები ოჯახებით ისხდნენ, ბომბი დაცვა და ყველანი დაიხივნენ.


ქოსმა მოიცვა გორლოკა. დაიხურა ბანკები, სავაჭრო ობიექტები. ხალხი საათობით იდგა პურის რიგში. პირჯვარს გადაისახავდა ნინო და გარეთ გადიოდა. იმის განცდა, რომ ადამიანებს მისი დახმარება სჭირდებოდათ, ყოველგვარ შიშს სძლედა.

მას შემდეგ კი, რაც უკრანული დრომა ჩამოაგდეს სამთავრობო შენობიდან, სამსახურში აღარ წასულა.

2015 წლის იანვარში დაბრუნდნენ ტორონჯაძეები სამტრედიისში.

"დონეცკში აფხაზეთიდან დევნილი ბევრი ადამიანი ცხოვრობს. მათ ცხოვრებაში კიდევ ერთი ომი მოხდა და იძულებული გახდნენ, იქედან კიდევ სადღაც წასულიყვნენ.

მეც შემეძლო საფრანგეთში წასე-



გაკვეთილება

არც თანაბარობაში, არც უპროპორციულად და არც აზიამში კარგ ჯარსს უნდა აქვს უფრო მეტი

თეა ბაგვაშვილი

თეატრალური ნაგვალა

მსახიობობა ბავშვობის ოცნება იყო, თუმცა... პირველ წელს თეატრალურ ინსტიტუტში ვერ მოხვდა. პედაგოგობაზე მან ინგ არასდროს უფიქრია, მაგრამ მისი მსახიობობის მიმართ ანტიად განწყობილ მშობლებზე ამ შეფერხებამ იმაზე ცუდი გავლენა იქონია, ვიდრე ელოდა. ჯერში წავიდა საჯარო სკოლაში სამსახურის მოსახდელად. იქედან დაბრუნებულმა სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სცადა ბედი, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ერთ მშვენიერ დღესაც დაასვენა, რომ ეს ის არ იყო, რაც უნდოდა. გამოცდები გადააბარა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და... ასე დაიწყო მისი მასწავლებლობა.

მისგან უბრალო მასწავლებელი არ დამდგარა. იგი კარგი პედაგოგია, უფრო მეტიც, ცნობილი! ამ სიტყვებში ადვილად დაძვინძვება ვეღვა, ვინც იცნობს თამაზ ნუცუბიძეს, დიდი ჯიხაბის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელს. და არა მარტო მასწავლებელს, სკოლის მეჭირბახუეს, რომელსაც აქაურობა უყვარს ყოფილი მოსწავლის ბავშვობასთან ერთად გასასხენებელი სიყვარულით და ამავედროულად, პედაგოგის რუღუნებით, საკუთარი პროფესიისადმი პასუხისმგებლობას რომ სდევს თან.

პირველად ძალიან გაუჭირდა მასწავლებლის ამბლუს მორგება, მაგრამ ბავშვებმა იმდენად შეაყვარეს თავი, "ახლა რომ შემომთავაზონ თეატრალურ ფაკულტეტზე დაგვამოთ, უარს ვიტყვი, რადგან სკოლას ვერ მოვწყვედები." – გვითხრა თავად. რომც არ ეთქვა, ვინც ერთხელ მიინც დაესწრება მის გაკვეთილს, მის მიერ მოწოდებული ღონისძიებებს, ვინც იცის მისი მუშაობის რიტმი და მონდობა, მისი დამოიდებულება ბავშვებთან, ამის მტკიცება არ დასჭირდება.

და უკვე 28 წელია თეთრი ცარცით შავ დაფანჯრულ საკლასო ოთახებში, სკოლის დერეფნებში განვლილი დღეების ისტორია იწერება. ამ გამოცდილებიდან ქართული ენისა და ლიტერატურის წარმატებულ მასწავლებელს შეუძლია თქვას: "თუ მასწავლებლად დაბადებული არ ხარ, სკოლის კარი არ უნდა შეაღო. რეფორმა რეფორმა, მაგრამ სკოლაში ყველაფერი პედაგოგზეა დამოკიდებული." ის კი, რაც პედაგოგზეა დამოკიდებული, ზედმიწევნით კარგად შესძლო მუშაობის 28 წლის განმავლობაში. ერთი ხელის მოსმით არ აკრიტიკებს სკოლაში შემოტანილ სიახლეებს, მაგრამ ლაფსუხების გამოშვებებს მიუერთისთვის პირში ნათქვამი სიმართლის მადლად მიაჩნია.

"ჩემი აზრით, ძალიან ბევრსაც კი ვითხოვდი მოსწავლისგან. მაგალითად, თავიდან ბოლომდე უნდა დაგეხასიათებდა ავთანდილი. იგი რას ჭამდა და სვამდა, არ უნდა იყოს საინტერესო, მთავარია, მოსწავლემ იცოდეს, რა პიროვნება იყო. არ არის აუცილებელი "ვეფხისტყაოსანი" იცოდნენ ზეპირად, ან თითქმის ზეპირად, აუცილებელია, იცოდნენ მთავარი რაა მასში, იცოდნენ ის, რაც უნდა ისწავლო "ვეფხისტყაოსნისგან." ვისაც უნდა სწავლავდა, ისწავლის და ვისაც რისი სწავლა უნდა, მისი ისწავლის! წერაში, ფაქტობრივად, ხუთიანი არ იწერებოდა. მოგახსენებთ, ადრე ხუთქულიანი სისტემით ვაფასებდით. რაც შეეხება შეფასებას, ცოტა მიუღებელია, უფრო სწორად, გაურკვეველი, ამგვარი სისტემა, დასახვეწია სასწავლო პროგრამები. ქართული გაკვეთილზე საზღვარგარეთის ლიტერატურას ვასწავლი მგონია. რა თქმა უნდა, ისიც უნდა ისწავლებოდა, მაგრამ ქართული ლიტერატურა მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი. გრამატიკა კი, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არის შეტანილი პროგრამაში. ეს, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელია! ლექციებს აკავი შანიძე, მზექალა შანიძე, ლეო კვაჭიძე, ალექსანდრე ლონტი მიუთხავდნენ. სხვანაირად არ შემოძლია, მე შანიძე-კვაჭიძის სახელმძღვანელოს უარს ვერ ვიტყვი და ახლანდელ სახელმძღვანელოებში დაბეჭდილ მარაზმს ვერ ვასწავლი! ამიტომ, ყველა ჩემმა მოსწავლემ შეიძინა და შანიძე-კვაჭიძის გრამატიკით გადვიდართ ამ საგანს. ვერ გეტყვით ვინ, მაგრამ იქნებ გამამტყუნონ კიდევ ამისთვის."

ეული ბევრი უფლება დაუბრუნდეს, ანუ "სადაც ბავშვის თავისუფლებაზე საუბრობენ, იქ პედაგოგის, უფრო მეტიც, მშობლის უფლებაც იყოს გათვალისწინებული. არც ერთ უფლებამოსეულს ბავშვი იმაზე მეტად არ უყვარს, ვიდრე მშობელს შვილი და თუნდაც, მასწავლებელს მოსწავლე. ბავშვის დასახსიანების მომხრე,



გაგაუი და მისგანი

რა თქმა უნდა, არავინაა, მაგრამ... ზომიერი სიმკაცრე არც უფლებების დარღვევა და არც ძალადობა. დღეს მოსწავლეს ხმა ამაღლა ვერ დაეღაპარაკები. გაკვეთილზე 28 ბავშვი გიზის. ხმის აწევა როგორ არ უნდა შეგეძლოს მასწავლებელს? მერე გეტყვიან, კლასი ვერ აიყვანე, ვერ დაინტერესეო. ყველა ერთნაირი დემამიშვილი არ არის, მით უმეტეს კლასი, სადაც კარგი მოსწავლეც ზის და სუსტიც, ბეჯითიც და ზარმაციც. ბავშვის ბედით დაინტერესება სხვა რამაა და მათზე ამოფარებული გრანტების მოპოვება, სხვა!"

სულაც არ თვლის თამაზ ნუცუბიძე, რომ გაუნათლებელი და უინტელექტო თაობა მოდის, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს. პირიქით, "ცუდი და კარგი ყოველთვის იყო. ვერ ვიტყვი, რომ წიგნს არ კითხულობენ, თუმცა არც იმის მტკიცებას დავიწყებ, რომ ბევრს კითხულობენ. გეთანხმებით იმაშიც, რომ განათლებას უმეტესობა ცოტა ზერეულად, ინტერნეტით უფრო იღებს, ვიდრე ბიბლიოთეკებში ჯდომით. მაგრამ მონაზრუნე თაობა მოდის, თავისუფალი სტრუქტურებისგან, არამც და არამც გაუნათლებელი!" გამოცდილ მასწავლებელს სჯერა, რომ ისინი უკეთეს ხვალეს გაუთენებენ ქვეყანას, რომელიც მამებზე ნაკლებად არ უყვართ და კითხვის ასე დასმას გვთავაზობს: რა გააკეთა მამების თაობამ მათზე მეტი ქვეყნისთვის და საერთოდ რა გააკეთეს ქვეყნისთვის იმ თაობებმა, დღეს რომ გულზე მჯიღს იცემენ?!

სენის მძვარი

რა თქმა უნდა, გვითხვი, რადგან თავდაც კარგად იცის, სენის მტვერს ერთხელ რომ გადავლავლა... თუმცა, ახლა დასძინს, საკლასო ოთახის მტვერიც ასე ყოფილიყო.

ჰო, ენატრება სტუდენტობაში, გადაყლაპული სენის მტვერი. ეს ლინის რაიონის სახალხო თეატრის სენაზე იყო. ახლა ნაბალადევი ქვეა იმ რაიონს. თამაზ ნუცუბიძის, ნიჭიერი სტუდენტის სამსახიობო მონაცემები შეუმჩვენებელი არ დარჩენია რეჟისორ ნელი ჭანტურას. ასე იქცა ერთ დროს თეატრალური ფაკულტეტის სტუდენტობაზე მეორედი მომავალი ფილოლოგი იმ თეატრის წამყვან მსახიობად. არაერთი სახე შექმნა, არაერთხელ შევიდა როლში და მასწავლებლის ტამი დაიმსახურა. ასე იყო აკაკი გეგაძის "რუმინულ კარადასა" და მარია ბარათაშვილის "ფრთხილად სასიკვდილოში".

დაახ, ენატრება! თუმცა, ავი გვითხრა, არ გავცვილი სკოლის სიბოხს დარბაზის ოვაციებში. გვეჯერა ამ გულწრფელობის, მაგრამ ახლა სკოლაშია და მისთვის, უდაბლომდ მსახიობისთვის, როლში შესვლა სულიერი მოთხოვნებია. ამიტომ გახლავთ ყველა მისი ღონისძიება თეატრალისებული. მათ ვერც რეჟისორს დაუწყებებს შემფასებელი, ვერც სენარს, ვერც გრემს და ვერც ერთ ნიუნსს, რაც თეატრს ესება.

"ვეფიქრობი, იქნებ შეილებმა ისურვონ-თქო, მაგრამ არც მათ მონდომეს მსახიობობა. არაუმავს, ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო..." – თამაზ ნუცუბიძე დანადებით არ იქნევს ხელს, როგორც ასეთ დროს ხშირად მოჰყვება ხოლმე საუბარს იმედგაცრუების შესახებ, და ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს, სამშობლოს სიყვარულით შთაბრძნავს მსახიობის ოსტატობით კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

"ნინა პარტინხა" შიპარილი საბნაში

ივანე ნუცუბიძეს შუამალევა რომ მოუტაცნია... ბინტის კაბა სცამა თურმე პატარადას. პატარა ხის სახლში ერთად შეეყუწნენ. ვაყვარის ოღონდროს სახურავში ვარსკვლავებიანი ცა სწანდა თურმე. ოჯახის აწყობა-მოწყობაზე იმ დამესვე დაწყებულა ფიქრი. მერე იმდენი შესძლეს ერთად, შუამალე ბებოს ნინა "პარტინხასი", ანუ იმ დროს ყველაზე კარგი მეგობარისთვის.



ბიორბი

შეუკვითა საბნები შესაკერად. უყვებოდა უკვე მოწიფულ შვილიშვილს თურმე, აივანზე რომ გადმოკიდებული ნინა "პარტინხასთან" შეკერილ საბნებს, ქუჩიდან გამოვხდავდი და გულს უხაროდაო. რაც არ უნდა კომუნისტური წარსული ჰქონდეს ამ გამოთქმას, დაახ, შრომა აკეთილშობილებს ადამიანს! ივანე ნუცუბიძისა და შუამალე ლევაგას ოჯახიც შრომით შეიქმნა და დღემდე ასე მოდის, როგორც ფუძის გასამაგრებლად გაგრძელებული ყველა ტრადიცია.

შუამალე ბებო ყოფილა შვილიშვილის მსახიობობის მომხრე, რადგან თავდაც ძალიან უყვარდა თეატრი განათლებულ გულხის ქალს. სესილია თაყაიშვილის თანამედროვე და ტოლი სწორედ მის მიერ შესრულებული ბეზიას როლების მსგავსი ბეზია იყო, იმერულად სტუმართმოყვარე. მტერი რომ ჩამოვიდეს ჭიშკარში, ის პირველ რიგში, სტუმარიყო – ასწავლიდა ჯვალაბს და გაიღებოდა თუ არა ჭიშკარი, კერაზე ქვის კეცს გადადგამდა ზაჭაპურისთვის. განსაკუთრებით უყვარდა სტუმარი და დღემდე ასეა შუამალე ბებოს ფუძეზე. ამავობა ვანსუბი კახიძის ახლო ნათესაობით და სიმღერაც მასაც ჩინებულად გამოსდებოდა. ნუცუბიძეების ფუძის სიძლიერე მისგან დაიწყო, მერე დედამ, ნაზი წიქვაძემ გააგრძელა, შვილების მიმართ ძალიან მეტად და მომთხოვნი რომ ყოფილა. ბატონ თამაზს დღესაც ახსოვს შეპასუხებისთვის გაწული სილა, არადა, შეპასუხება მხოლოდ წინარად ნათქვამი "შე არ ვარ დამამავე" იყო. თავად კი მამამ მეათე კლასში გახლდა. მამა, სიმონ ნუცუბიძე, უფრო ლმობიერი, კეთილი და მშრომელი კაცი ყოფილა. და-ძმამ, თამაზმა და ციციმ დედამიშვილობის, ერთმანეთის ფასი იცინა, ეამაყებოთ მშობლებს და წინაპრებს ბატონისა წარსულით. გენეალოგიურ ხეზე დღემდე საპატიოდ რომ ინახავენ მათ ოჯახში, ალბათ კიდევ ბევრი დაივარება საკუთარ ადგილს, რამეთუ იციან თამაზ ნუცუბიძის ნათესაურულში "ოჯახს რომ იტყვი, იქ წერტილი უნდა დასვა, რადგან ეს არის თავმოწონების ყველაზე დიდი საბაბი, შენი სათქმელი სამშობლოს, საზოგადოების წინაშე. საკუთარი თავის წინაშეც, რამეთუ, პირველ რიგში, შენს თავთან არ უნდა შერცხვე

და არც სხვებთან შერცხვები." ასე ოჯახის უფროსი ფიქრობს რასაც არ შეიძლება არ ეთანხმებოდეს.

სამშობლოს სიყვარულსაც აქედან, საკუთარი ოჯახიდან იწყებენ თამაზ ნუცუბიძე. სამშობლოს და მშობლიურ სკოლას დედას არ აგინებენო, სჯერა. ამიტომაც ალბათ, ოჯახი და სკოლა განუყოფელი მცნებებია მისთვის. მართალია, შინ აყვედრიან, ჩვენზე მეტ დროს სკოლაში ატარებო, მაგრამ იციან, თამაზს სხვანაირად არ გამოუვა.

ბაბრამიანი ტრადიცია

ერთმანეთი გააცნეს და სიყვარული მერე მოვიდა, დიდი და ერთგული. ერთმანეთის გვერდით დგომით, პატივისცემით, ერთმანეთთან მეგობრობით დღემდე ოჯახის ჭკაპანს შერცხვენლად ზიდავენ. საუბარს ხუმრობით აგრძელებს თამაზ ნუცუბიძე: "გუგულის ეძახდნენ და გუგულივით იქნება-თქო, ვიფიქრე, არადა..."

არადა, ამ წერილის დაწერის მიზეზი შეიძლება ითქვას, ქალბატონი გულიყო ვანბერაძეა. პირველივე სტუმრობისას ნუცუბიძეებთან, მან, როგორც დიდი ოჯახის თბილმა და სანდომანმა, იუმორით სახეს დაიასახლისა, დაგვანტერესა. ჩინებული მზარეული განსაკუთრებული გემოვნებით გამოირჩევა და ამიტომაცაა მის სახლში მუდრო გარემო, მშვიდი ინტერიერი და მთელ ამ პანორამაში ყურადღებამისაქცევად გადაწყვეტილი ყველაზე უბრალო ნივთიც კი. ალბათ, აქაურების შინაგანი სამყაროც, მაგრამ, პირველ რიგში, დასახლისი განსაზღვრავს იმას, რომ მათთან თუნდაც პირველად მოხვედრილ სტუმარს თავი წინაური ჰკონია. მისი უგემრიელები მზარეული ორიგინალურად გაწვობილი სუფრა, ქართული სტუმართმოყვარეობის ღანათის განსაკუთრებულად უსვამს ხაზს. დღეს ეს ოჯახი გუგულის "შემოქმედებაა". დამერწმუნეთ, ასეა, მით უმეტეს, რომ ამას მისი მეუღლეც ეთანხმება.

გადაუჯებლად ჩვენი ისტორიის და წარსულის მქონეთ." – ეს თამაზ ნუცუბიძის აზრია, რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო.

ქართული ტრადიციები კი ქართულადვე რომ გაგრძელებული ნუცუბიძეებთან, ცხადია. ამაში ეჭვი არ შეგეპარებათ მათი შვილების გაცნობის შემდეგ. ფორმაც-ვეტული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია ნაზი, როგორც ბატონი თამაზი იტყობა, მამის მელავეზე გაზრდილი გოგო. მამა-შვილის განსაკუთრებული სიყვარული ერთი შეხედვითვე საგრძობია. "მშობლებისგან დამალული არაფერი მაქვს. მათი შეილობა მართლაც საამაყოა. ჩვენს ოჯახში სიყვარული და ურთიერთობატივიცემა ვისწავლე და როცა ჩემი ოჯახი მექნება, ვეცდები, ასეთი იყოს. სადაც ურთიერთსიყვარულია, ყველა პრობლემა ადვილად გვარდება." თქვა ნაზიმ, რომელსაც დასახლისობაში ძალიან ეტყობა დედის შვილობა.

გიორგი აბიტურიენტი, სკოლა წელს დაამთავრა. უნდა რეინგებელი გახდეს. ძალიან უყვარს მშობლიური სოფელი და... "სადაც არ უნდა მომწიფოს წასვლა, რა სიურპრიზიც არ უნდა მომეზადოს ცხოვრებაში, აქაურობას რა დამევიწყებს, რა მიმატოვებინებს!" – ამბობს ჯერ ისევ ბავშვური გულწრფელობით.

საკუთარ მოსწავლეებსაც ასე ცხოვრებას ასწავლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამაზ ნუცუბიძე და ამიტომაც არ ემინია დროის მანქანის. მისთვის გუშინ, დღეს და ხვალ ქართულია და სწამს, დღეს ამ და არც მომდევნო თაობებს არაფერი შეუძლებათ, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტი, რაც მათ წინამორბედებს შეუძლიათ.

თეატრ ნუცუბიძე – ურჩი ლიტერატორი

"თემურ ნუცუბიძეზე საუბარი არასდროს მომწყინდება. ერთად ვავიზარდით. ბიძაშვილები ვართ. ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო. საკუთარი დიდი ბიბლიოთეკის ყველა წიგნი წაიხთხული ჰქონდა, ზეპირად გეტყობდა, ეს ამ გვერდზე წერია და ნახეო."

დღას ქსენია ერქვა და ქსიას ეძახდა. ჩვენი სკოლა დაამთავრა, აქ დიდ ჯიხაბში. ოქროს მედლი იმიტომ ვერ გაიტანა, რომ დედად დაწერა ოთხიანი ქართულ წერაში. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს რომ აბარებდა, დღას უთხრა: "ქსია, როგორც კი ოთხიანი მივიღებ, იცოდეთ, გამოცდების ჩაბარებას აღარ გავაგრძელებო. ყველა ხუთიანი მიიღო და უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი



ნაზი

თუმცა, აქვე არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ თამაზ ნუცუბიძეს ძალიან უყვარს ქობი ფუსფუსი. ათასფერი ყვავილებით, სხვადასხვა ენის ხე-მცენარეებით სახსე ლამაზი ეზო მისი დამსახურება გახლავთ.

მიუხედავად ყველაფრისა, საკმაოდ მეტად დღეს ქალბატონი გუგული. მამა უფრო ლმობიერიყო, შვილებმა. დედა კი, "ზღვარი დედა-შვილიც უნდა იყოს. არც მასწავლებელი მამა არის სკოლაში მამა. ვემეგობრობ შვილებთან, რა თქმა უნდა, თუმცა, ზღვარს არ გადავდვართ არასდროს." – თვლის.

"რძალს როგორი ტრადიციაც დახვდება ოჯახში, ისე აგრძელებს თავდაც. ძირითადად ასეა. მეც ცვიდილობ არ შერცხვე და ყველაფერი მისაბაბი მისაბაბად გავაგრძელო." – ცვიდილობს და გამოსდის. ამიტომაც თანამედროვეობის არ ემინიათ ნუცუბიძეებს, უფრო სწორად, შვილებსაც ასწავლიან იმას, რაც თავად ძალიან კარგად იციან, თანამედროვეობა ტრადიციების უგულვებლყოფას კი არა, მათ გაგრძელებას ნიშნავს. "არც თანამედროვეობაში, არც ვეროპელობაში და არც ანატობაში კარგ ქართველებს არ ეშლებათ არაფერი! არ გვაქვს საქმე თავში საცემად. ჩემთან სტუმარი ხშირად და ყველას ურჩევნია ოთახში გაშლილ მაგიდას, ეზოში გაშენებულ ე. წ. ეთნოგრაფიულ კუთხეში შევწვთ მწვადი და ქართულად მოვილხინოთ. ფუსვი თავისას შევა. ქართულის ფუსვი საქართველო და არ შეიძლება, სისხლმა თავისი არ ჰქნას. ასე რომ არ ყოფილიყო, დღემდე რა მოგვეყვანდა

გახდა. სოფელში დაბრუნდა, რადგან ცოტა მძიმე ხასიათი ჰქონდა და დიდ ქალაქში ვერ გამოეგებნო, ამბობდა. ოჯახიც ამიტომ არ შექმნა. იგი დღევანდელ გახლდათ. დისერტაციის დაცვაზე გუარამ შირაქემ მას "ურჩი ლიტერატორი" უწოდა. ძველი ქართული ლიტერატურა უნდა "გადავბრუნო", ამბობდა, მაგრამ არ დასცვალა...". ჰყვება თამაზ ნუცუბიძე და ხმაში ტკივილი ეპარება. არ შეიძლებოდა, მისთვის ამ ადამიანზე არ გვეკითხა, რადგან არის იგი გახსენების ღირსი, მით უმეტეს, თამაზ ნუცუბიძის ოჯახში, სადაც დიდ პატივს სცემენ მის ხსოვნას.

დასაწყისში სათქმელი

დაბაბულობა დღევანდლობის სინდრომად იქცა, ლიმიტი – ირონიას და ცინიზმის გარეშე სახლთან სამეხნელი. ასეთ დროს განსაკუთრებით სასიამოვნოა იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ყოველდღიური ბიბლიისგან პირველივე შეხვედრით რომ გიხსნიო. იქედან იმედები და მშველდი მოდიხარ. ვინც იცნობდა, იცნობდა, სხვებს კი, ამიტომ გაგაცანიოთ დიდ ჯიხაბული პედაგოგის, თამაზ ნუცუბიძის ოჯახი.

აქვე, ახლოს, ჩვენს გვერდით, ქართველობის სიყვარულით სახსე კერა, ყველასთვის და უპირველესად ქვეყნისთვის საიმედოდ. ეს პირველივე სტუმრობის შთაბეჭდილებაა, ვფიქრობთ, გაცურებულ... და წერილიც დასრულდა, როგორც დღეს მოდამა თქვა, პოზიტივით შთაგონებული.

“ლაღის” წარმატებული დაბრუნება

ნათია ნაცვლიძე

სულ რაღაც 3 თვის წინ, შპს “სამტრედიის მაცნეს” დირექტორმა, მუსიკოსმა და მელომანმა ბექან გოგიამ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ანრი მანჯგალაძეს მოუსმინა, რომელიც ფანდურზე უკრავდა. ნიჭიერი მოსწავლის შემოქმედებით იმდენად მოიხიბლა წარსულში ცნობილ ანსამბლ “ციხარტყელას” გიტარისტი, სერიოზულად დაიწყო ფიქრი, შეეკრიბა ნიჭიერი მოსწავლეები, რომლებიც ხალხურ საკრავებზე უკრავდნენ და მათგან ფოლკლორული ბენდი შეექმნა.

ასე აღმოჩნდა ანრი ბექან გოგიასთვის ბიძგის მიმდევრობა და “სამტრედიის მაცნეს” დირექტორის კაბინეტში ჯგუფმა “ლაღიმ” რეპეტიციები დაიწყო.

ამ ფოლკლორულმა ჯგუფმა პოპულარობა და სამტრედიელი (და არა მარტო) მაყურებლის სიყვარული უკვე დაიმსახურა. შავ ხილაბანდიან ბიჭებს ჩვენს ქალაქში უკვე ყველა სცნობს, აი ისინიც: ანრი მანჯგალაძე, რამაზ შენგელია, დათო მამასახლისი, ლუკა კიკაჩიშვილი, გია დარაბევილი, ირაკლი მარჯანიშვილი და 3 შესანიშნავი გოგონა: გვანცა არაბიძე, ჟანა დარაბევილი და მარი ტორონჯაძე.

“ლაღიმ” პირველი კონცერტით საესტეტიკო მოხიბლა მაყურებელი. ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე ჯგუფმა 17 მუსიკალური ნომერი წარმოადგინა. მაყურებელი თავდაც აპყვავდა მთელი მუსიკალური სიმღერების: “კაკასიური ბაღადა”, “ასე რომ გიციე”, “აყვავებულა არავგზე დეკა”, “თამარა”, “შენ ჩემო დიდი ტკივილო” და სხვა... ჯგუფმა პუბლიკა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამოგზავრა.

საგანგებოდ შეირჩა რეპერტუარი, რომ ფოლკლორულ ჯგუფს საქართველოს ყველა კუთხეში – დიდი ჩონგურის ყველა სიმაკრიდან აქედნებინა და აქედნებინა. უდიდესი ოვაციით შეხვდა დარბაზი მეგრულ “ვაგიო რქომას”, ხევსურულ და რაჭულ სიმღერებს.

რამაზ შენგელია რამდენიმე კონცერტის გამარჯვებულია, მას ვიოლიონოზე ნათია გაბრიაძე, ვოკალში – რამაზ კუბლაშვილი ამეცადინებს. სულ ახლახან მან საქართველოს მასშტაბით სავიოლიონო ნაწარმოებების შესრულებაში პირველი ადგილი მოიპოვა. მის მიერ შესრულებულმა “ო სოლე მით”-მ დარბაზის მქუხარე ოვაცია დაიმსახურა. ბევრი კომპლემენტი დაიმსახურა ანრი მანჯგალაძის და დათო მამასახლისის ვირტუოზულმა შესრულებამ ფანდურზე. “მუსიკოსები იბადებიან, მერე მათ აღზრდა ესმარება, ანრი იშვიათობაა, ამ ინსტრუმენტზე ასეთი რამეები თუ ხდებოდა, არ მეგონა. რაც იყო ოთარ რამიშვილი გიტარაზე, ის არის ანრი ფანდურზე. ანრი არის ფანდურის ოთარ რამიშვილი”. – გვეუბნება მისი შემოქმედებით აღფრთოვანებული მუსიკოსი მარინა ახობაძე.

თავად ანრიმ კი გვითხრა: “ჩემი სოლო ნომერი “ჯეირანი” მაყურებელმა მოიწონა. ამ მელოდიაზე ცეკვადა უმშვენიერესი მოცეკვავე, “სუნიშვილების” ჯერ სოლისტი და მერე ხელმძღვანელი, ნინო რამიშვილი. მადლობა ბატონ ბექანს, რომელმაც მალისხმევა არ დაიშურა, რომ დღევანდელი დებიუტი შემდგარიყო”.

ცეკვა “აჭარული” შთამბეჭდავად შეასრულეს ჟანა დარაბევილიც და მარი თევზაძემ. ასევე შესანიშნავი ქორეოგრაფი

ფიქრით მხარდაჭერას ამ ჯგუფს. ირდებით მხარდაჭერას ამ ჯგუფს.

ნუგზარ ჯამბურია, საკრებულოს თავმჯდომარე: “შესანიშნავი კონცერტია, ქართული სულის ზეიმია, როცა ასეთი ქართული სულით გაქვლით, გულანთებულ ახალგაზრდებს უყურებ, გჯერა, საქართველო არ გადაშენდება. ეს ქვეყ



ღერა 19 წლის ასაკში. დღეს კი ის აღფრთოვანებას არ მალავდა და უამრავ კომპლემენტს გამოთქვამდა “ლაღის” მიმართ. “სამტრედია” კონცერტის ფინალური და ულამაზესი აკორდი იყო. “დავით თორაძემ ეს მუსიკა ჩემს ხმაზე დაწერა. ძალიან კმაყოფილი ვარ, სიმღერა დღეს რომ აუღერდა, შესანიშნავი ბავშვები არიან. ძლიერი ჯგუფია, გზას დაეულოცავ ამ ბავშვებს”. – გვითხრა ქალბატონმა ბადრიმ.

დიდი ოვაციით შეხვდა დარბაზი ზიკო ჯინჭარაძის სცენაზე გამოჩენას, სამტრედიის მხიარულთა და საზრიანთა გუნდის გამორჩეულმა სახემ, მიუხედავად საგამოცდო ციებ-ცხელებისა, მაინც მოიცალა და კონცერტი კარგად წაიფეხა. წამყვანი საკონცერტო ნომრების წა



რდენისას საქართველოს ამა თუ იმ კუთხის შესახებ შესანიშნავ ლექსებსაც კითხულობდა.

კონცერტის ბოლოს მან სცენაზე “ლაღის” პროდიუსერი მოიხმო. ბექან გოგიამ მადლობა გადაუხადა დარბაზში მსხდომთ ყურადღებისათვის, ბავშვებს, რომლებმაც შრომის ბრწყინვალე შედეგი წარმოადგინეს და დაჰპირდა საზოგადოებას, რომ 85 წლის “სამტრედიის მაცნეს” ვიწრო ოთახში დაბადებული ჯგუფი “ლაღი” უფრო დიდ სივრცეებს დაეუფლება და სამტრედიის სახელს შორს გაიტანს.

ჩვენთან საუბრისას აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც სრული შემადგენლობით დაესწრნენ კონცერტს.

ვალიერი ფიცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი: “დამუხტული ვარ უდიდესი ემოციით, ძალიან კმაყოფილი მივდივარ, დიდი მადლობა ბექან გოგიას და ამ ბავშვებს, ამ ლამაზი კონცერტისათვის”.

ლიზა კრავიშვილი, გამგებლის მოადგილე: “აღფრთოვანებული ვარ, ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა კონცერტმა, შრომა დაუფასდა ბექანს, სიტყვები არ მყოფინს, უნდა ვიამაყოფო, რომ ასეთი ჯგუფი შეიქმნა სამტრედიის, ვპ

ნის სიაშიაყვია”.

ზანა ადიშვილი, საკრებულოს წევრი: “ვევლოდები საოცრად ქართული იყო, ნიჭიერად, ლამაზად იყო გაკეთებული, კოლეგებთან და მეგობრებთან ერ



თად ვიჯექი, საკრებულოს, გამგებობის წარმომადგენლები ერთად ვიყავით და მოვისმინე, რომ ამ ჯგუფს დიდი მხარდაჭერა ექნება ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. აღდგომა და ზეგალო”.

კობა ძიძიგური, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: “ყოველი ქართველის მარტოებში სისხლი აჩუხჩუხდა ამ სიმღერების მოსმენისას. ეროვნული, პატრიოტული განცდა გაგვიღვივებს ბავშვებმა ამ სიმღერების შესრულებით, ვფიქრობ, უახლეს ხანებში ჯგუფს ხელშესახები მხარდაჭერა ექნება”.

დავით კოპალეიშვილი, მომღერალი:



“ძალიან კმაყოფილი ვარ, ბრწყინვალე კონცერტი იყო, ბექანის შრომა დაფასდა, ბავშვებიც ძალიან მონდომებული არიან”.

გივი დაღანიძე: “ბრწყინვალე კონცერტი იყო, აღფრთოვანებული ვარ, ძალიან ლამაზად შესრულდა ყველა სიმღერა. ამ ბავშვებს დიდი ყურადღება სჭირდებათ, ამ და ვამჩნევ განწყობას, რომ ეს ყურადღება იქნება”.

ვეფხია ნადირაძე, კულტურის ცენტრის დირექტორი: “დღევანდელი საღამო შედგა, კონცერტი შედგა ამ ახალგაზრდებისაგან, ნორმალური საღამოა, წინ სამუშაო აქვთ, ყველაფერი კარგად იქნება, ალბათ, უფრო მოძლიერდებიან, უკეთესები იქნებიან და შემოქმედებითად გაიზრდებიან”.

“ამ ჯგუფის დაბადებას ნამდვილად ვესწრებოდი, პირველ ნაბიჯებსაც თვა

ლს ვადევნებდი, კარგი დებიუტია, მინდა ამ ბავშვებს დიდი წარმატება ვუსურვო ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელი იქნება, ის უკვე წარმატებაა, რომ ისინი “ნიჭიერის” ჩაწერაზე მიიწვიეს”. – გვითხრა კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ.

მარინა ახობაძემ თანადგომა გაუწია, ჯგუფს. პროფესიონალმა თავის დამოკიდებულებაც გამოხატა ახლად შექმნილი ჯგუფისადმი:



“ეს ბავშვები არიან ძალიან ნიჭიერები. პროფესიონალი რომ გახდეს, ბევრი უნდა იმუშავე. არიან უნიჭიერესი ახალგაზრდები, სწორად მიგნებულნი. ყოჩ



აღ, ბექან გოგიას! სამტრედიის სეირის მაყურებელი და კრიტიკოსი უფრო მეტია, ვიდრე საქმის გამკეთებელი. მთელი ცხოვრება სცენაზე ვარ და კარგად ვიცი, საქმეს ვინ გულით აკეთებს და ვინ



– უეულოდ. ყოჩაღ, ბექან გოგიას. ეს ადამიანი 6-7 საათი იჯდა ამ ბავშვებთან და ამეცადინებდა მათ, ან სად მოებნა ამდენი კარგი ბავშვი ერთად. ბევრმა სამტრედიელმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ბექან გოგია სერიოზული მუსიკოსია. მე მასსოვს, როგორ უკრავდა ის სოლო გიტარაზე, “ციხარტყელას” ჯგუფის წევრი რომ იყო. არის კარგი მელიმანი, მსმენელი. განვითარებული და ერუდირებული კაცი. უნიჭიერესი ბავშვები არიან ეს ბავშვები”.

ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა სიმღერა “სამტრედიის”, ბატონმა ბექან გოგიამ ამ სიმღერის ყველაზე რთული ვერსია წარმოადგინა. რეპეტიციებს დავესწარი და მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა: ეს ადამიანი აკეთებს მამულიშვილურ საქმეს. ყველა ხმაღს ვერ დაიჭერს ხელში. ნამდვილი გმირობაა ის, რასაც ის აკეთებს! ამ ჯგუფს სჭირდება ხელშეწყობა, განახლება, ანსამბლი არ უნდა დაიშალოს!”

“ლაღის” წევრი, მარი ტორონჯაძე: “ძალიან კმაყოფილი ვარ, დღეს ჩვენი დებიუტი შედგა, ვიმედოვნებ, ასე წარმ

ატებით გაგავრძელებთ მომავალში”.

გია დარაბევილი: “ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ხალხს, მაიმა ოვაციამ ძალიან დადებითად განგვაწყო, ჩვენს შრომას არ დავიშურებთ და შემდეგში უფრო კარგ კონცერტებს ვაჩუქებთ ჩვენს თანაქლაქელებს. ჩვენი წარმატება ბატონი ბექანის დამსახურებაა. 3 თვეა შევიკრიბეთ და შედეგი სახეზეა.

“მივესალმები მთელ საქართველოს და მთელ სამტრედიას, ჩვენ სოჭიდან ჩამოვედით, გაემართეთ საქველმოქმედო კონცერტი სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად. დღეს ბატონმა ბექანმა მომიწვია “ლაღის” კონცერტზე, ძალიან კმაყოფილი ვარ, ყოველთვის ყველა ანსამბლს დიდ ყურადღებას მივაქცევთ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყველას დავეხმარებით”. – გვითხრა დიმიტრი სახელაშვილმა, სოჭში მოღვაწე ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელმა.

ბექან გოგია: “მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დაგვფასა და მობრძანდა, მადლობა შესანიშნავ მუსიკოსსა და ვირტუოზ ჰაინისტს მარინა ახობაძეს, გვერდით დგომისა და კონსულტაციისათვის, მადლობა სოჭის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელ დიმიტრი სახელაშვილს, ბატონი დიმიტრი შეგვიპირდა, რომ “ლაღის” წევრებს შეუძენს ძვირადღირებულ ფორემებს. ასევე, ჩვენი გაზიარების მეგობა



რმა, ბანის “რესპუბლიკა“-ს მმართველმა, ბატონმა გოგიტა კაკაბაძემ გადმოგვცა 500 ლარი, რითაც ანრი მანჯგალაძისათვის შევიძინეთ ფანდურს. უდიდესი მადლობა ყველას ასეთი მხარდაჭერ



ისათვის. უდიდესი მადლობა ქალბატონ ქეთევან პაპავას, სტომატოლოგიური კლინიკა “ქეთი დენტის” ხელმძღვანელს, რომელიც კონცერტის ბოლოს მოვიდა და დაგვიბრდა, რომ საჭიროების შემთხვევაში “ლაღის” ყველა წევრს ნებისმიერ დროს უფასო მომსახურებას გაუწევს. ასევე, მადლობა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი სრული შემადგენლობით დაესწრნენ “ლაღის” პირველ კონცერტს. ეს კი ჩვენდამი მათი პატივისცემის საუკეთესო გამოხატულებაა.”

ასე რომ, “ლაღის” სახით სამტრედიის კულტურული ცხოვრების დიდ წიგნში კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა. შრომასთან შერწყმული ნიჭიერება ყოველთვის წარმატების მთავარი გარანტიაა, პოპულარობის და წარმატების შენარჩუნებას ვუსურვებთ “ლაღის”. გვჯერა, ეს ახალგაზრდები, თვითტკობას კი არ მიეცემიან, არამედ კიდევ მრავალჯერ დაარწმუნებენ მაყურებელს ჭკვიანობაში, რომ “ნების სიმამფრე შენებამა და არა ამენებულები ტკობაში”, ზურგის ქარი გვისურვებია!

თბილისი

თუ ვაჟას სწორად წაიყიოს...

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავს საქართველო მთის ბუმბერაზისადმი მიძღვნილი არაერთი ღონისძიებით ეხმაურება. წლებგანდელი წელიწადი სულაც ვაჟას წლად გამოცხადდა. სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებმა ბევრი სანახაობა და ლიტერატურული საღამო გამართეს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით სასკოლო თეატრალური ფესტივალიც ჩატარდა. ფესტივალის ფარგლებში საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მისი ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლები დადგეს. საქართველოს მასშტაბით ყველა რაიონიდან აუდიოდისკზე ჩაწერილი თითო სპექტაკლი გაიგზავნა დედაქალაქში კომპიუტერული ფიურის მიერ შესაფასებლად.

სამტრედიამ ამ მართონში მეთერთმეტე საჯარო სკოლის სპექტაკლით ჩაერთო. მისი სცენარის ავტორობის და რეჟისორობის პასუხისმგებლობა, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მაია ლორიამ იტვირთა. ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრის სცენაზე ჩვენების შემდეგ, რეჟისორმა ვეფხია ნადირაძემ, რომელიც იმავედროულად იმ ფიურის წევრიც იყო, რომელსაც უნდა განესაზღვრა სპექტაკლის საკონკურსოდ წარდგენის მიზანშეწონილობა, განაცხადა, რომ "იგი არაფრით ჩამოუვარდება პროფესიონალი რეჟისორების ნამუშევარს." მხატვრული და მუსიკალური გაფორმება, კოსტიუმების დიზაინი - ყველაფერი მაია ლორიას მითითებით შეიქმნა. მუსიკალური ნომრების მომზადებაში მოსწავლეებს ამჟამად სკოლის მუსიკის პედაგოგი, ელისო რობაქიძე დაუხმარა. ცეკვები სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, გელა თურმანიძემ დადგა.

მთავარი კრიტერიუმი, რითაც ნამუშევარი ფასდებოდა, მოსწავლეთა ჩართულობა გახლდათ. სცენარის მიხედვით, სპექტაკლში 70-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა. მეთერთმეტე საჯარო სკოლ-



ას აქვს რესურსი, რომ მოცვევავები, მომღერლები, სხვადასხვა ინსტრუმენტზე შემსრულებლები საკუთარი მოსწავლეებისგან შეერჩია. მეტყველების დახვეწა კიდევ ერთი პრობლემა გახლდათ, რასაც მაია ლორიას დახმარებით ბავშვებმა კარგად გაართვეს თავი. "ამდენი ბავშვის ორგანიზება, თანაც ურეჟიტოვოდ, ძნელი იყო. კულტურის ცენტრის სცენას არ ეცადა, თეატრალურ ფესტივალზე გასატან სპექტაკლზე მუშაობდ-

ნენ. ამიტომ დიდ სცენაზე თითქმის არ გაგვევლია რეპეტიციები. სკოლის კლუბი კი, მოგეხსენებათ, ამ ასპექტში არ გამოდგება." - ამბობს პედაგოგი. მიუხედავად ამისა, მისი ნახვის შემდეგ არა მხოლოდ თავად იგი, მეთერთმეტე სკოლებით კმაყოფილი მრავალრიცხოვანი მყურებელიც გახლდათ. რაც შეეხება შინაარსს, "არც ვაჟას ღრმა ფილოსოფიას შევხებივარ და არც მის მითოსს. სპექტაკლში მთავარი იყო,

რომ ეს გახლდათ თანამედროვედ აღქმული ვაჟა-ფშაველა. იგი ორმოქმედებიანია. პირველი ნაწილი წარმოადგენს კრწანისის ომს ვაჟას ლექსებში. მეორე ნაწილი გახლდათ დალატი. მასში განუაზოვადეთ ყველა დალატი და ყველა ქართული სირცხვილი. შესრულდა კიდევ "სირცხვილის ცეკვა". ეს საჭიროა, ამ მომენტში ხშირად უნდა შევასხუნოთ ჩვენს თავს, რომ კიდევ ერთხელ, როგორც მრავალგზის არ ვჭამოთ სირცხვი-

ლი სამშობლოს წინაშე. წინ წამოვიწიე თანამედროვე ჯარისკაცების თემა. მათ იმეკვიდრეს კრწანისის ომის გაგებით-ლები, რომელიც ვაჟა-ფშაველამ ჩაუტარა თავისი შემოქმედებით." - მაია ლორია კიდევ ერთხელ საუბრობს სპექტაკლზე, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იქნებოდა ნაწვენები.

ერს, რომელსაც ორი საუკუნეა, ომი არ მოუგია, დამარცხებულის და სიღატაკის სინდრომი შეუთამამდა. ეს გახლდათ ტკივილით ნათქვამი სათქმელი. სცენაზე ერთი მხრივ დუქნის საქართველო იყო წარმოდგენილი და მასთან ერთად ვაჟას სამყარო. ეს ორი კი ერთმანეთთან ვერ ძოვს. თანამედროვე ქართველი ვაჟას ლექსებშიც ადვილად ამოსაცნობი გახლდათ, ანუ ქვეყნის დღევანდელი პრობლემები მამინაც პრობლემად ყოფილა და დღემდე იმიტომ მოვიდა, რომ თავის დროზე კარგად ვერ წავიფიქრეთ ვაჟა და მისი ნაწარმოები. ერქვა კიდევ ამ სპექტაკლს "ვაჟას ანდერძი", რასაც "ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე" ლაიტმოტივად გასდევს.

ფესტივალის ფიურის თავმჯდომარის, ლელა რაზიყაშვილის განცხადებით, სიმპათია და მისი ერთ-ერთი წევრის, გოდერძი შარაშიას ფრაზა "გათანამედროვეებული ვაჟა" სამტრედიულ სპექტაკლს ეკუთვნოდა. როგორც მაია ლორია ამბობს, "მართალია, საპირისპირო ადგილები ვერ დავიმსახურეთ, მაგრამ ჩვენი სათქმელი განსაკუთრებულად ვთქვით. ვაჟა ყოველთვის თანამედროვეა, თუმცა, გოდერძი შარაშიას ეს შეფასება მაინც ესადაგება ჩვენს ნამუშევარს."

ეს პირველი იყო. სალონური საღამოები ხშირად იმართება სკოლაში მაია მანჯგალაძის ხელმძღვანელობით, თუმცა სპექტაკლი სცენაზე დადგომის პერსპექტივით, განსხვავებული და ცოტა არ იყოს, რთულად შესასრულებელი "სამინაო დავალება" გახლდათ მოსწავლეებისთვის. და ეს პირველი სირთულე დაძლეულია. ახალი სასწავლო წელი კიდევ მეტ წარმატებებს მოიტანს, თუნდაც ამ ფარში.

თბილისი

"ნუ იმედოვნებთ სხვახედა!" - გემოდღვრავს ბუნების მესაიდუმლე პოეტი ვაჟა-ფშაველა.

საოცრად უბრალოდ იცხოვრა, ესმოდა ბუნების ენა ერის უბედობით სევტამწარებულ ერისკაცს და მარგალიტებად ივინებოდა ჯვარგვლის მაგარ ფშავერ ქონში, გრძელ ღამეებთან ჭიდილში ჩამოქილი სტრიქონები, დროის სვლასთან ერთად ახლებური დატვირთვა, სხვა მნიშვნელობა რომ შეიძინეს:

"ნეტაი იმას, ვისაც კი მადლიერი ჰყავს ქვეყანა! რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწს არ შავიკერი ზავითა, გაძლება უნდა, ბუნება რასაც დაგვადებს ხარკად. ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი! ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იქმნება, რამდენად აწმყოსათვის.

რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად, ამით ის უმზადებს მთელ კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას..."



კალმით იბრძოდა, ხმლით საბრძოლველადაც მზად იყო მგოსანი მუმილივით გამრავლებული მტრის წინააღმდეგ: ვის ემუქრება ნეტა ხმლით ეგ უნამუსო, ფლ-იდა, კასპით პონტიამდე ქართველთა ძვლების ხიდა. მაგრამ არ გაეწყდით სრულიად, კიდევაც ხმლები გვეკიდა, ბევრი გვინახავს წინათაც სპარსის და თათრის ქაქანი, მაგრამ გახდათ ოხრად, ფარი, ხმალი და ჩაქანი. მათ ლეშზე ავეტიებია უმსგავსო ყვეათა ფაყანი. ამოდ არ დამშვრალა პოეტი, ამოდ არ უქლერია ვაჟას ჩანგს. სამშობლოს სამსახურში გაილია, ნადრეკად წავიდა. სიკვდილიც ისეთივე უბრალო გარემოში ისურვა, როგორც სიცოცხლეში იყო. მსოფლიოს შედევრთა შორისაა პოეტის შემოქმედება. საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ვაჟა მთაწმინდის მადლიანმა მიწამ ჩაიერა გულში. ივლისში პოეტის დაბადების დღეა. ამ დღეებში ჩარგალში ვაჟაობა გამართება. ტრადიციულად შეიკრიბებიან მისი ნიჭის თაყვანისმცემლები პოეტის მშობლიურ სოფელში. დიდი ფშაველის უკვდავი სულიც მათთან იქნება. ვაჟა მარად ჩვენი თანამედროვეა!

ლევან ბაბუნაძე

შენ იქ სჭიხრები ჯეყანას, სადაც ნახ...

მიხვთა გამო ცოტა დაგვაგვიანდა, ერთი ღონისძიების ამბავი მოგიტყვი. იგი მეორე საჯარო სკოლაში გაიმართა, უფრო სწორად, მეორე საჯარო სკოლას შერწყმულ ილორის სკოლაში, სადაც დაწყებითი საფეხურის კლასები დატოვა წლების წინ სასკოლო რეფორმამ. უკვე არაერთი წელია, რაც ილორის სკოლა დაიწვა. დამწვარი სკოლის ინფრასტრუქტურას, შეიძლება ითქვას, არაფერი შემატეხია, მაგრამ ამ კედლებში მაინც ირეკება სკოლის ზარი და მერხებთან ცოდნას ეზიარებიან პატარები. ამ სკოლის ფრანგული ენის პედაგოგი გულიკო ჩაბრაძე, პოეზიის ტრფიალია. სხვანაირად ვერც იქნება, ყველამ იცის, რომ იგი ბანუკი ჩაბრაძის დედა გახლავთ, ახალგაზრდა პოეტისა და მეცნიერის, ქართული ინტელექტი საფრანგეთში ნანტის უნივერსიტეტს რომ აჩვენა.

მთხვევაში პოეტისავე სტროფებით. ეს ის დღეები იყო, საქართველო სტიქიით დაზარალებულ თბილისს რომ უთანაგრძობდა, იქ დაღუპულებს რომ გლოვობდა. წუთიერი ღუმილით პატივი მიავის მათ ხსოვნას და ბოდიშს მოიხადეს, წინასწარ დაგვემძიო ღონისძიების გამო. მოულოდნელი სტიქიის გათვლა, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდებოდა.



ფაზისის აკადემიის წევრი, გაზეთ "საქართველოს მიღმა საქართველოს" რედაქტორი ნანა ჭირაქაძე და სხვა საპატიო სტუმრები გულთბილად მიესალმნენ პოეტს. "შენ იქ სჭიხრები ქვეყანას, სადაც ხარ" - ეს პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის სიტყვაა. მომღერალმა ალექსანდრე კრავიშვილმა საკუთარი ლექსი წაუკითხა მას, რომელმაც აპლოდისმენტები დაიმსახურა. საკუთარი ლექსი პედაგოგმა თამარ რაზმაძემ-

აც წაიკითხა, ისეთი დიდი პოეტიც რომ არ დაიხვედა უკან ხელის მოწერაზე. მხატვარ გივი ფრანგიშვილის პათოსიც ამალელებული გახლდათ აკაკი თევზამუნე საუბრისას. გულთბილად მიესალმნენ იმ დღის მთავარ სტუმარს მისი მშობლიური ვანიდან მოწვეული სტუმრები.

აკაკი თევზამუნე მადლობას კიდევ ერთხელ უხდოდა სამტრედიას და სამტრედიელებს გულითადი სიყვარულისთვის. "მთავრის ობოლ ცრემლად იქცა, ღამის ფიქრის იცის ყადრი, ვინაც მიწა დაივიწყა და ჩემსავით ცას შენატრის"... ეს და მისი სხვა სტრიქონები იმ დღეს უხვად ისმოდა სკოლის კედლებში, სადაც ფეშტებულ სკოლებზე ნაკლები თაობები არ იზრდებიან, სხვებზე ნაკლებად არ იციან პოეზიის ფასი და სადაც კიდევ ბევრ გამოჩენილ ადამიანს მოუწყობენ შეხვედრას. აკაკი თევზამუნე კი, მეგობარი პოეტი, ისევე დაწერს სხვათა და სხვათა წასაკითხად - "ნატურისთვალეით ვუფრთხილდები ლექსებს ნაფერებს..."

თბილისი

“ირაკლის მაგალითზე გახრდილი თაობა უდავოდ იქნება შენგებელი ახალი საქართველოსი”

გმირები დღევანდელ დროშიც იბადებიან! – ბევრს იტყვის გაცხეტილი ფრანკა. საამაყოდ, სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს რომ სწირავენ, მათზე მოგვითხრობს იგი, უფრო სწორად კი, მომავლის უტოვებს ცხოვრების დევიზად და მრწამსად.

ირაკლი ქუთათელაძე – ახალგაზრდა, სისხლსავე გააყვავი და უნუგეშოდ დარჩენილი გოგონა... მტკვრის მღვრიე ტალღები, სიკვდილითან ბრძოლა და ერთი გადარჩენილი სიცოცხლე, ერთიც – შეწყვეტილი გულისცემა. საქართველოს გმირი, ასეთად დარჩებათ ირაკლის სახელი ოჯახს, მეგობრებს, თანაქალაქელებს, ქვეყანას...

რამდენიმე წელია, სამტრედია ირაკლი ქუთათელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირის მასპინძლობს მინი ფეხბურთში. ტრადიცია არც წელს დარღვეულა. 16 ივნისს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ტურნირმა განახლებული სახით აიღო სტარტი. წლეულს მასში მოსწავლე-ახალგაზრდობის ნაცვლად, სხვადასხვა ორგანიზაციის, კერძო სტრუქტურისა და დაწესებულების 14 გუნდი მონაწილეობდა. მიროსაფინანსო ორგანიზაცია “კრისტალის”, საკრედიტო ისტორიათა ქართული ბიუროს, საჭიდაო კლუბ “ფა-

ლაკანის”, “ლიბერთი ბანკის”, “ლაზიკა კაპიტალის”, ბანკ “რესპუბლიკას”, მიეროსაფინანსო ორგანიზაცია “კრედოს”, “საქართველოს რეინიგზას” (“რეინიგზა 1, რეინიგზა 2”), ბანკ “ფინკას”, დაცვის პოლიციის განყოფილების, კომპლექსური სპორტული სკოლის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შსს სამმართველოს ნაკრებები დიდი მონაწილეობით, გამარჯვების სურვილით ჩაებნენ საფეხბურთო ვენბათ-აღლვაში.

26 ივნისს, ირაკლი ქუთათელაძის გარდაცვალების დღეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილესთან და სამსახურის უფროსებთან ერთად ეწვია გმირის საფლავს. შვილ-მკვდარი დედის გოდება ტკივილად ეფინებოდა პანთონს... “დიდ მწუხარებასთან ერთად, საამაყო ფაქტია, აწ უკვე გმირად აღიარებული ბიჭის თავგანწირვა. მის მაგალითზე გამბრდილი თაობა უდავოდ იქნება უკეთესი მერმისის საფუძვლის ჩამყვანი და მშენებელი ახალი საქართველოსი!” – აღნიშნა გამგებელმა და მადლობა გადაუხადა ირაკლი ქუთათელაძის მშობლებს სასიქადლო ვაჟკაცის აღზრდისათვის.

იმ დღეს, საფინანსო თამაშისთვის ემზადებოდნენ გუნდები. უამინდობის გამო, ტურნირის დახურვის 1 ივლისისთვის გადატანილ (კერძომიანის მცხუნვარე მზის სხივები მაყურებელთა სიმრავლეს უქადა. ქართველთათვის განსაკუთრებულად ახლოებლმა სპორტის სახეობამ კაბინეტურ რეჟიმს მოსწვებია ხელისუფლებისა და საბანკო სექტორის წარმომადგენლები. მწვანე მოედანზე პალსტუხი სპორტულ მასურს, ხოლო სა-

ქმიანი ქალაქები ბურთს ჩაენაცვლებინა. გამოუვიდათ კიდეც ახალი გარემოს მორგება...

მესამე მუთხედში ერთმანეთს ადგილობრივი თვითმმართველობის გუნდი “სამტრედია” და კომპლექსური სპორტული სკოლის გუნდი “სანავარდო” და-



უპირისპირდნენ. მიხელო ქანთარია და ცოტნე შენგელია “სანავარდოს” რიგებიდან განსხვავებულ ამპლუაში გაეცვენენ საზოგადოებას, თუცა, მესამე ადგილისთვის აღამა მანც მოწინააღმდეგეებმა ააფრიალეს. ანგარიშით 4 : 3 გამარჯვებული გუნდი “სამტრედია” გახდა.

“დაწყების დღიდან თვალს ვადევნებ თამაშებს. პირველყოფისა, ეს გარდაცვლილის სახელის უკვდავყოფისთვის ჩადებული გარკვეული შრომაა, რასაც მონაწილეთა მაღალი მოტივაცია და მონაწილეთა ერთობა უზრუნველყოფს. სიმართლე გითხრათ, წარმატებული დასაწყისის ფონზე, გამგეობისა და საკრებულოს ნაკრები გუნდის პირველ ან მეორე ადგილზე გასვლას



გელოდი, მაგრამ მესამეც არ არის ურიგო”. – დასძენს გამგებლის მადგილე. ქალბატონი ლიზა კრავიშვილი.

ფინალში ერთმანეთს შეხვედრა საჭიდაო კლუბის გუნდ “ფალავანსა” და საქართველოს რეინიგზის გუნდ “რეინიგზა 1”-ს მოუწიათ. დაძაბული, გამამხნეველები შეძახილებით დატვირთული თა-



მამი “ფალავანის” გამარჯვებას დაელო საფუძვლად, ანგარიშით – 3 : 2.

სპეციალური სიგელები, თასები, ფულადი ჯილდოები ერთი საბრიზო ადგილზე გასულთ. ირაკლი ქუთათელაძის ოჯახის მეგობრებისგან შემდგარმა საინიციატივო საბჭომ, სპეციალური ნომინაციების ადრესატთა დაჯილდოვება

ბატონებს: ვალერიანე ფოცხვერიას, ნუგზარ ჯამბურიას, კობა მიძიგურს, დავით ბახტაძეს, ირაკლი ქუთათელაძის მამას, ნიკოლოზ ქუთათელაძეს, ქალბატონებს: ლიზა კრავიშვილსა და ნატალია მანჯგალაძეს დაუთმო.

საუკეთესო მეკარემ, ალექსანდრე ხონელიძემ, უზუცესმა მონაწილემ, მიხელო ქან-

თარია, საუკეთესო მცველმა, ვლადიმერ ქანთარია, ბომბარდირმა არჩილ ბოხუამ, საუკეთესო მოთამაშემ, აკაკი კუპრეიშვილმა მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორებს და პატივისცემით, მოგმალეობით კიდე ერთხელ მიესალმნენ და-

ლუპულის ოჯახის წევრებს.

ტურნირის შეუფერხებლად წარმართვისათვის ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მედალი მარინა შენგელიასა და თამაშების ხელმძღვანელ მსაჯთა კოლეჯის, ვეტერანი ფეხბურთელების, ბატონების: ბადრი ქორიძის, ევგენი დოლიძის, კახა ელაშვილის, გაია ბენდელიანის, ირაკლი შენგელიასა და ზურაბ კონხეიძის გაწეული შრომა, რომელთა მიმართაც ორგანიზატორებმა სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს.

შეხვედრის ბოლოს, ქუთათელაძეების ოჯახის მეგობრმა, ბატონმა მოგელი კუპრეიშვილმა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს ბატონ თამაზ ჟორდანიას მიერ დაწესებული პრემია გადასცა, მაღალპროფესიონალურ დონეზე ორგანიზებული ტურნირის მოწყობისთვის გამოხატული მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად.

მონა კაკაძე

ჭადრაკში ტრადიციები ბრძოლდება

2015 წლის 20-28 ივნისს ქ. ქუთაისში ჩატარდა იმერეთის დია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში. მასში სამტრედიელ მოსწავლეთა სოლიდურმა წარმომადგენლობამ, 20-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა.

შეჯიბრება, ჭადრაკის ტერმინოლოგიით თუ განვსაზღვრავთ, სხვადასხვა ასაკში, განსხვავებული სიძლიერის, თანრიგისნებსა თუ უთანრიგობის შორის ჩატარდა და საკმაოდ წარმატებითაც. 8 დღიანი შეხვედრების შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული სპორტსმენები: მათე შენგელია, რომელმაც I ადგილი დაიკავა მე-3 თანრიგისანთა შორის. გიორგი ერქვანიძე – ასევე I ადგილი 8 წლის ზემოთ უთანრიგობის შორის. 8 წლამდე უთანრიგობის შორის II ადგილი ბარბარე გაგუამ მოიპოვა. II ადგილის მფლობელი მე-4 თანრიგისანთა შორის ნინო მეფარიშვილი გახდა. ერთ-ერთი აბსოლუტური ჯგუფის გოგონათა შორის III ადგილი 8 წლის მარამ გოთოშიამ დაიკავა. ჯგუფში მასზე გაცილებით უფროსი ასაკის გოგონები მონაწილეობდნენ.

შედეგების მიხედვით მე-3 თანრიგის ნორმატივები შეასრულეს: მარი ხუჭუამ და რეზი გაბუნამ (მწვრთნელი ბესო ლეჟავა), ხოლო მე-4 თანრიგი შეასრულა ლუკა ტულუშმა (მწვრთნელი ნინო ჯვარშიშვილი).

ყველა ნომინაციაში გამარჯვებულ მოთამაშეებს გადაეცათ ორგანიზატორების მიერ დაწესებული თასები, შესაბამისი ხარისხის მედლები და დიპლომები, ხოლო მოსწავლეთა მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით მწვრთნელმა ბესო ლეჟავამ დაიკავა III ადგილი და გადაეცა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია.

რამს თხლავ

კრედიტული სპორტული სკოლის პირველხარისხი



ლევან ჯალავანის გახსენება

ახლა დარდა ირგვლივ... არადა, შენი დაბადების დღე ყოველთვის ჩვეულებრივ მხიარული იყო. მეგობრების, მეგობრების სიყვარულით მდიდარს, ბედნიერების დიმილი დატამამებდა სახსზე. მხოლოდ მეორეოცა იგი და უკვე არყოფნის ცრემლით უნდა მოგილოცოთ, წელიწადზე მეტია, შენმა არყოფნამ რომ შეაჩვია თვალს. ისევ დაგტოვია ერთადერთი შეილის დამარგავი დედის გული, ტკივილგაუყურებელი. შემზარავია მისი “მოგაკვლეს, შეილო, დედა...” თვალბით გეტებს ქერეუდ დარჩენილი სიყვარული ქალის მონატრება და სმენას ყინავს პატარა ნინიოს დახახილი “მამაკო”.

დრო ტკივილს აყვებს, – ტუფილი ყოფილა, დრო ტკივილს გააჩვენებს მუდამ ჩვენთან დარჩენილს. შენც ტკივილად დარჩი, მოუშუშებულ, დაუეწიყარ ტკივილად. განსაკუთრებით მძიმეა იგი, რადგან შენდამი სიყვარულს კვლავ ცხადად ვერმნობთ შენი მეგობრებისგან, იმ ადამიანებისგან, ვისთანაც არათუ მეგობრული, არამედ, რამენაირი შეხება მაინც გჭირია.

ორმოცა წელი სიბერის ახალგაზრდობააო. შენ მარად ახალგაზრდა დარჩები, რადგან იმიერში გადასულს უნდა მოგილოცოთ იგი. კიდეც ბერჯეკი მოვა 16 ივლისი, ჩვენთვის დიდი სიყვარულის ტკივილით მონატრების დღე და მას ყოველთვის ერქმევა ლევანი...

ლევან ჯალავანი, მამულა თბა, კალიფორნია 6069



სსრკ-ის იმოს...

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში განათლების სისტემაში მრავალი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობდა. ღირსის საშუალო სკოლის დირექტორი, ბატონი ელგუჯა სულავა მათ შორის იყო, ერუდიციით, ინტელექტით, კაცურკაცობით რომ ცნობდნენ და ავასებდნენ.

უფლის ნება გახლავთ უდავოდ ის გარემოება, რომ ღირსის სკოლას ყოველთვის გამორჩეული ადამიანები ედგნენ სათავეში, ტრადიცია დღესაც გრძელდება. ბატონმა ელგუჯამ და მისმა მეუღლემ მთელი ცხოვრება მომავალი თაობების აღზრდას მოახმარეს. შელომკვდარმა მშობლებმა საკუთარ თავში ძალა იპოვეს და მშობლიურ სიტბოს უშურველად უნაწილებდნენ სხვათა შეილებს.

იმ თვალსაჩინო წარმატებებში, რასაც ღირსის საჯარო სკოლა აღწევდა დიდი გახლდათ ბატონი ელგუჯას, როგორც დირექტორის, წელილი, ეს ის პერიოდი იყო, როცა სამტრედიამ ახალგაზრდობის აღზრდის ფორმტზე იღვწოდნენ ლეგენდულ ქცეული ადამიანები: მამია ლორთქიფანიძე, კარლო ძნელაძე, ფაი ზახაროვი, ტატიანა გეგუანიძე, ნეოლინა ჯიქიძე, ვერა კუტაბაძე და სხვები.

წლების წინ განერიდა საწუთოს ბატონი ელგუჯას მეუღლე, ქალბატონი თინა. სევდას სევა მიემატა, წლებმაც თავისი გაიტანეს და ზეციურ ბინადართა დასს შეუერთდა ბატონი ელგუჯას სუტაკი სული.

სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე უკანასკნელ გზაზე გამეცილებია დედაწმოსილი კაცი. გონებაში ამოტვიტვიდა მასთან შეხვედრის თბილი წუთები, მისი თავაზიანი სალაპი, მოყითხვა და... ეს მცირე მოგონებაც დაიწერა.

ლევან ჯალავანი

მავალა და გურანდა გურგენიძეები თანაურმონობენ აეთო და ტარიელ მეფარიშვილების ოჯახებს ქალბატონი **მელვან** გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაურმონობს ვულიყო გოგიტიძეს დედის, ლვალმოსილი ჰედაგოგის, ქალბატონი **ლილი კახარაძის** გარდაცვალების გამო.

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები თანაურმონობენ ციციონ ლაბანიძეს და დავით სანიციძეს უახლოესი ნათესავის **მზია ნიკუაძის** გარდაცვალების გამო.

ეს სიახლეა!

გომის თემში მუსიკალური სკოლა 1987 წელს გაიხსნა. იმ დღიდან სკოლას სათავეში უდგას ბატონი პიროსი თავაძე, რომელმაც თავის დროზე კონსერვატორია დაამთავრა (საორკესტრო-ჩასახები ინსტრუმენტები) და დღემდე საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლის ახალგაზრდობის პარმონიული აღზრდის საქმეს.



შობადობის სიმცირე, მიგრაცია სკოლის მოსწავლეთა კონტინენტზე უარყოფითად აისახა, თუ წინათ აქ 200 მოსწავლე იყო, მათი რიცხვი ამჟამად 85-ია მხოლოდ, მათ აღზრდას 17 მასწავლებელი ემსახურება.

პედაგოგები თამარ ნიკოლეიშვილი, სოფიკო ჩხაიძე, მთვარისა კობალეიშვილი ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები არიან.

გომის მუსიკალური სკოლის შემდეგ კონსერვატორია დაამთავრა მაია სულაქველიძემ, უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო თევზაძე სოფიომ, სკოლა ამჟამად ამ ადამიანებით.

ეს-უსაა დასრულდა სასწავლო წელი.

ბატონმა პიროსმა სამომავლო გეგმებზეც გვითხრა რამდენიმე სიტყვა, ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში ხალხური ფოლკლორის შემსწავლელი ჯგუფის გახსნას ვგეგმავთ, კონტინენტზე გაიზრდება და საოცრად ეროვნული საქმეც გაკეთდება, ეს კი სიახლეა. ახალგაზრდები საფუძვლიანად გაეცნობიან, შეისწავლიან ჩვენამდე მოღწეულ ხალხურ მარგალიტებს. – დასძინა რეკონსტრუქტმა.

ხალისიან ზაფხულს ვუსურვებთ გომის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს, აქ დასაქმებულ მასწავლებლებსა და მათ თავაკაცს კი კეთილი ჩანაფიქრის კეთილად ასრულებას.

ლევან ბაბუნაძე


ცისნა დიძეშვილი - 80

ღვანულადი "მაცნე" სიყვარულით ულოცავს საიუბილეო თარიღს განთი, სადაც არაერთი წელი გაატარა კეთილსინდისიერებითა და რუღუნებით. ბედნიერი დღეები დაეხლოს ჩვენი "შველი გვარდიის" პატივსაცემ წევრს. დიდხანს სიცოცხლე და უფლის წყალობა არ მოკლებოდეს.

"80 წელი ზღვარი როდიაო", წერდა ჩვენი განთი საუთარ 80 წლის იუბილეზე. ზღვარი არც ჩვენი ცისნა დიძეს ცხოვრებაში ფიცილიყოს ეს თარიღი. დიდხანს ჰყოლოდეს მაცნეს "ციცანა" და ცისნას მაცნე იმედოდ და დასაყრდენად.

გულწრფელად გვიყვარხარ, ცისნა დიდა! გაიხარეთ!

"სამტრედიის მაცნე"



ვულოცავთ!

ბატონ მურმან ბერუღასას!

დიდ მესტროს, პატივისცემით გილოცავთ დაბადების 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლის იუბილეს. ჯანმრთელ, დღეგრძელ სიცოცხლეს გისურვებთ ბატონო მურმან. უფალმა გაგაძლიეროს!

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

სამხრეთ-აღმოსავლეთი

განათლების, კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

კულტურის ცენტრი ანსამბლის

"სამტრედიის", "აინთაში" ფორპი

მეგობრები



საანგარიშო კონცერტი და ცხოველი ოვაცია...

დარსებიდან მეორეოცე წელს იხიებებს შემოღობზე დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა (დირექტორი ქალბატონი ლეილა შიშიაშვილი). საიუბილეო თარიღის დირექტორად შეხვედრისათვის აქ სამზადისი დიდი ხანია დაიწყო.

29 ივნისს საანგარიშო კონცერტი გაიმართა სკოლაში.

პრეზენტაცია მუსიკის ლიტერატურაში, ხალხური და აკადემიური გუნდები, გიტარისა და საფორტეპიანო განყოფილება... ერთი სიტყვით, მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ დარბაზის წინაშე სკოლის მოსწავლეები.

ამ ერთ ღამეზე საღამოს ბრწყინვალედ წარმოიჩინა იმ დაუღალავი შრომის შედეგი, რასაც მოსწავლეთა პარმონიული აღზრდისათვის ეწევიან პედაგოგები: რუსუდან ქუთათელაძე, შორენა რაზმაძე, ჯულიეტა ლეჟავა, ვერიკო ლორთქიფანიძე, ეთერ ნიქაბაძე, ნინო მელუა, მთვარისა ლეჟავა და სხვები.



– მოხარულნი ვართ, ახალ შენობაში, ღამეზე დარბაზში რომ გამსახიფტობთ. კონცერტები არ დამთავრებულა, გრძელდება და ოქტომბერში ფართომასშტაბიანი, საიუბილეო კონცერტით დასრულდება. – მიმართა შეკრებილი სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლეილა შიშიაშვილმა.

სოფლის თავაკაცებმა ნუგზარ ნუცუბიძემ და ალექსანდრე ლეჟავამ 2015 წლის ფესტივალში გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

მაშ ასე, დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ღამეზე, მრავალფეროვანი კონცერტით მშობლებს და ზოგადად მსმენელს ერთწლიანი გარჯის ანგარიში ჩააბარეს.

დარბაზში დიდხანს ისმოდა ოვაცია.

ლევან ბაბუნაძე



"გაილიგი, ეს დღე უნია"

ამ სიტყვებით ეპატივებოდა ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფი "ორულია" სამტრედიელებს საზაფხულო პროექტზე, რომლის სულის ჩამდგმელი, სხვა მრავალი საღამოს მსგავსად, ქალბატონი ნონა ჭახნაია გახლდათ, მუსიკაზე თავდავიწყებით შეყვარებული, მოერძალეული შემოქმედელი. "ოცი წელია, რაც ანსამბლი არსებობს. დღეს, როცა "ორულიას" პირველი თაობის წევრებს ვხვდავ, არც კი მჯერა, რომ უკვე ამდენი დრო გავიდა, პეშვში დატეული წყალივით გაპარულა წლები..." – გვეუბნება ქალბატონი ნონა და ამჯერად იმ დღეზე ჰყვება, ჯერაც რომ ახსოვთ და კიდევ კარგა ხანს ემახსოვრებათ 30 ივნისს კულტურის ცენტრის სცენაზე ნანახით აღფრთოვანებულ ადამიანებს.

დეკორაციად თვალსაჩინოა მზე და სხივებზე ცეროდენა გოგო-ბიჭების ნამდერი მელიდიები: "მრავალფაშიერი", "პოპური", "როცა ჩაქრება ჭადრები"... პატრიოტულ მოტივთან ერთად, ანცობის უდარდელი წლებიც ჩაექსოვათ საგანგებოდ შერჩეულ რეპერტუარში. მხიარული ჯამბაზი და ზღაპრის ფურცლიდან გადმოსული "პეპი" გვეგზობდნენ საოცრებათა ქვეყანაში, იქ, სადაც ერთმანეთი ეიმედებათ, სჭირდებათ და უყვართ... ეს საქართველო იყო.



"ცეროდენებს" "ვირტუოზები" მოჰყენენ. უნაკლო შესრულებით, დახვეწილი პლასტიკით ახალგაზრდებმა უმაღლ დაგვარწმუნეს თავიანთ ვირტუოზობაში, არც ამ სახელის დარქმევსას გადაეჭარბებინათ თურმე.

"ეს კონცერტი საქველმოქმედო გახლდათ. შეუძლებელი იყო, დედაქალაქში დატრიალებულ ტრაგედიას არ გამოვხმაურებოდით". – აღნიშნავს ქალბატონი ნონა და მადლიერების გრძობით განმსჭვალული იმ ადამიანებზე მოგვითხრობს, რამდენიმე თვის წინ, რთულ პერიოდში გვერდით რომ დაუდგნენ და ჯანმრთელობის პრობლემების დაძლევაში დაეხმარნენ.

უფლის რწმენით, პატრიარქისადმი უდიდესი მორძალეობითა და სიყვარულითაა ნაკარნახევი ნონა ჭახნაიას ყოველი სიტყვა, ქალბატონისა, ზვალინდელი დღის იმედითა და ახალი ჩანაფიქრების ხორცშესხვის წყურველით რომ ცხოვრობს.

შოთა ბაბუნაძე

ლიბსეული ქილი

საქართველოს პროფკავშირულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირმა, 9 მაისს, ქ. თბილისში კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში ჩატარა VIII რუსპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი "იპოვე შენი ვარსკვლავი". ფესტივალის მოიციავდა საქართველოს ყველა რეგიონს და მზანი კლასიკური მუსიკის პროპაგანდა, ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და ასევე კულტურის სფეროში მოღვაწე შემოქმედ პედაგოგთა სტიმულირება იყო.

ქ. სამტრედიის დ. შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის მიერ წარგზავნილი 6 მოსწავლიდან 2 ლაურეატი, ხოლო 4 სხვადასხვა პრემიის მფლობელი, გახდა. ესენი არიან: ანრი მანჯგალაძე – I ადგილი, ოქროს მედალი (ფანდური, VI კლასი, პედაგოგი მ. ტკეცვირია); ვალერი მარტინოვი – II ადგილი, ვერცხლის მედალი (ვოკალი, V კლასი, პედაგოგი რ. კუბლაშვილი), ქეთევან ბარდაკოვი – II ადგილი, ვერცხლის მედალი (მხატვრული აკომპანემენტი, VI კლასი, პედაგოგი ლ. მელქაძე); თამთა ჩალიგავა – III ადგილი, ბრინჯაოს მედალი (ფორტეპიანო, IV კლასი, პედაგოგი ლ. ახალკაცი); ბექა ხუჭუა – ლაურეატის დიპლომი (ფორტეპიანო, VI კლასი, პედაგოგი ლ. ახალკაცი); რამაზ შენგელია – ლაურეატის დიპლომი (ვოკალი, VII კლასი, პედაგოგი რ. კუბლაშვილი).

სახელოვნებო სკოლის მრავალმხრივი და მრავალდარგოვანი წარმატებული წარდგენისთვის, სკოლის დირექტორს ქალბატონ ირმა შანიძეს გადაეცა სპეციალური ჯილდო, რომლის მფლობელიც საქართველოში მხოლოდ ორი სახელოვნებო სკოლის ხელმძღვანელი გახდა.

ლევან ბაბუნაძე

მედიკოსი და მუსიკოსი



რედაქციის მისამართი:

სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6

ტელ: 790 391839

მაცნე

დირექტორი **ბექა გოგია**

მთავარი რედაქტორი **ქეთევან ჭიჭიძე**

გამომშვეები რედაქტორი **თამაზ ბაბუნაშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი **ლევან ბაბუნაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **მამაზ ბაბუნაძე**